

60/2
1927



პრეზიდიუმის დადგენილი, 1927 წლის

34(05)

საქართველოს სოც.



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა პრეზიდიუმი

1927 წ.

იუსტიციის სახელსუფამო კომისიისათვის გაბმულა

1927 წ. დეკემბრის 31

№ 10

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

142. დადგენილება № 87 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხ. დანართის გაუქმების შესახებ.

143. დადგენილება № 88. ც. ა. კ.—ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების შესახებ.

144. დადგენილება № 89 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ს. ს. რ. კ. და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

145. დადგენილება № 90. ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის დაარსების შესახებ.

146. დადგენილება № 91 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

147. დადგენილება ს. კ. ს.— ისეო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებათა შესახებ, რომელთა პროექტების შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

148. დადგენილება ს. კ. ს.— მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათადარიგოდ, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთათვის საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ.

149. დადგენილება ს. კ. ს.— აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთისათვის ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოსაწყობად საჭირო მიწების შესახებ.

150. დადგენილება ს. კ. ს.— მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის დებულების დაბტკაებისა და სამოემდოდ შემოღების შესახებ.

დეტალები მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის შესახებ.

სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

142. დადგენილება № 87 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხ. დანართის გაუქმების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ კონფისკაციაქმნილი, ბეითალმანი და უბტრონო ქონების გამოყენების თაობაზე—1927 წ. მაისის 23 თარიღის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 32, მუხ. 323) გამოცემის გამო და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლისთანავე—ძალა დაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლის დანართი „ბეითალმანი ქონების შესახებ“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ლ. ქართველიშვილი.



სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**შ. მათიკაშვილი**.

1927 წ. ოქტომბრის 21.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-241 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21.

143. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 88 ც. ა. კ.

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **დ. აფციაური**.

1927 წ. ოქტომბრის 25.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტფილისის მუშათა-გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობისა და მისი ორგანოების შესახებ.

პ ა რ ი I.

ტფილისის მაზრა-ქალაქის საბჭოების ყრილობა.

1. ქ. ტფილისისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ადგილობრივი ორგანო არის ტფილისის საბჭოების ყრილობა; ყრილობა შესდგება ქ. ტფილისისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საბჭოების წარმომადგენელთაგან: თემისა და სოფლის საბჭოებისაგან ერთი დეპუტატი 1.000 მცხოვრებზე, ხოლო ქალაქის საბჭოსაგან—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე.

2. არჩევნები ტფილისის საბჭოს ყრილობისათვის სწარმოებს იმ წესისამებრ, რომელიც შემოღებულია საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციით

და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციით.

3. ტფილისის საბჭოების ყრილობას მოიწვევს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ, იმ ვადაზე, რომელიც დანიშნული იქნება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

შენიშვნა. საბჭოთა სასწრაფო ყრილობა მოიწვევა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რომელსაც დამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინადადებით, ან იმ რაიონების საბჭოთა მოთხოვნით, რომელთა მოსახლეობა ქალაქისა და მაზრის მთელი მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები არ იქნება.

4. თავისი მუშაობის ხელმძღვანელად ტფილისის საბჭოების ყრილობა აირჩევს პრეზიდიუმს, რომლის რწმუნება-მოსილება დამთავრდება ყრილობის მუშაობის შეწყვეტისთანავე.

5. ტფილისის საბჭოების ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას, რომელიც შეამოწმებს დებუტატთა რწმუნება-მოსილებას და გამოარკვევს, თუ რომელ წევრს აქვს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლება სათათბირო და რომელს—გადამწყვეტი ხმით.

შენიშვნა. სამანდატო კომისიის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ყრილობის მიერ.

6. ტფილისის საბჭოების ყრილობას დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა და შეთანხმება ყრილობის დროს საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ ორგანოს მოქმედებისა, რომელიც ტფილისის საბჭოთა ყრილობას ექვემდებარება;

ბ) დამტკიცება ტფილისის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი: 1) ქალაქისა, მაზრისა და თემის ბიუჯეტებ შორის შემოსაველ-გასაველის განაწილების პროექტისა, მოქმედი კანონების დაცვით, 2) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების განკვეთებისა, იმ უკიდურესი განაკვეთების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია სათანადო კანონმდებლობით;

გ) განხილვა და დამტკიცება ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტისა და ტფილისის საბჭოს მიერ მიღებულ ქალაქ ტფილისის ბიუჯეტისა; აგრეთვე განხილვა და დამტკიცება ამ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებისა;

დ) საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა, ამ საკითხებზე დადგენილებათა პროექტების შემუშავება და მათი ხელისუფლების შემდგომ ორგანოებში განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა;

ე) ტფილისის აღმასკომისა, მის განყოფილებათა და ტფილისის საბჭოს მოქმედების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; ტფილისის აღმასკომისა და ტფილისის საბჭოს ქვემდებარე ორგანოთა მუშაობის წინასწარი გეგმის გან-

ხილვა და დამტკიცება; აგრეთვე საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების მოხსენებათა და ანგარიშთა მოსმენა;

ვ) სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობისათვის დეპუტატების არჩევა;

ზ) ტფილისის აღმასკომის წევრთა და კანდიდატთა არჩევა.

შენიშვნა. ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გარდა, ტფილისის საბჭოების ყრილობას შეუძლიან გადასწყვიტოს ისეთი საკითხებიც, რასაც მხოლოდ ადგილობრივი უწყებელი ტერიტორიის შესახები მნიშვნელობა აქვს.

7. ტფილისის საბჭოების ყრილობის დღიურ წესრიგს შეიმუშავენ ტფილისის აღმასკომი და არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობამდე გამოაქვეყნებს ადგილობრივ პრესაში და დაუგზავნის ყველა ქვემდებარე აღმასკომსა და ტფილისის საბჭოს. ტფილისის საბჭოების ყრილობის დღიურ წესრიგში აღნიშნული მოხსენებების გამო ყრილობას გამოაქვს გადაწყვეტილება დადგენილებისა და რეზოლუციის სახით.

8. საბჭოთა ყრილობაზე ყველა საკითხი გადასწყდება ხმის ახდილად მიცემით და ხმის მარტივი უმეტესობით.

9. ტფილისის საბჭოთა ყრილობის დადგენილებანი შეიძლება გაუქმებულ იქნენ მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ.

10. ყრილობის ყველა დადგენილება და სხდომების ოქმი ეგზავნება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

11. ყრილობის წევრი თავის მოვალეობას უსასყიდლოთ ასრულებს.

შენიშვნა. ყრილობის დროს დელეგატებს კმაყოფა და სამგზავრო ხარჯები ეძლევა კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

ქ ა რ ი II.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი.

თ ა ვ ი I.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაცია და გამგებლობის საგნები.

12. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს 75 წევრისა და 38 კანდიდატის შედგენილობით აარჩევს ქ. ტფილისისა და მისი მაზრის მუშათა, გლეხთა და შითელარმიელთა საბჭოების ყრილობა. ერთის წლის ვადით; თავის გამგებლობის ფარგლებში იგი არის ყრილობიდან ყრილობამდე ქალაქისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ხოლო თავისი პრაქტიკული მოქმედებისათვის ანგარიშვალდებულია ტფილისის საბჭოთა ყრილობის წინაშე.



13. აღმასრულებელი კომიტეტი თავის მუშაობაში, ტფილისის საბჭოთა ყრილობის გარდა, ექვემდებარება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

14. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი და განკარგულებანი მისი გამგებლობის ფარგლებში სავალდებულოა ქ. ტფილისისა და მისი მაზრის მოსახლეობისათვის და ყველა ქვემდგომ ორგანოსათვის. მათი გაუქმება შეუძლიან მხოლოდ ტფილისის საბჭოთა ყრილობას, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა, მის პრეზიდიუმსა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

15. სახალხო კომისარი, რომელიც არ დაეთანხმება აღმასრულებელი კომიტეტის ამა თუ იმ დადგენილებას, წინადადებით მისი გაუქმების შესახებ მიიქცევა ამა დებულების 14 მუხლის წესისამებრ.

16. აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბება მორიგ სხდომაზე სამ თვეში ორჯერ მინც.

შენიშვნა. უკეთუ რომელიმე წევრი გამოვა აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობიდან, ეს შედგენილობა შევსებულ იქნება კანდიდატით ტფილისის საბჭოთა ყრილობის დაწესებულ რიგისამებრ.

17. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში მონაწილეობას იღებს სათათბირო ხმის უფლებით აღმასკომის არა-წევრი—აღმასკომის განყოფილების გამგე და აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი ან მისი თანაშემწე.

18. თავისი და აგრეთვე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა დედგენილებების განსახორციელებლად და ტფილისის აღმასკომის ყველა ხელქვეით ორგანოების მოქმედების სახელმძღვანელოდ და გასაერთიანებლად ტფილისის აღმასკომი აირჩევს თავისი შედგენილობიდან პრეზიდიუმს.

19. ტფილისის აღმასკომი ყველა თავის დადგენილებას და სხდომის ოქმს და აგრეთვე თავისი მოქმედების წლიურ ანგარიშს წარუდგენს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

20. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაევალება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დეკრეტებისა, დადგენილებებისა და განკარგულებათა განხორციელება, რისთვისაც უფლება აქვს:

ა) უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან იმ ღონისძიებათა გამო, რასაც ცენტრალური ხელისუფლება მიიღებს და რაც შეეხება ტფილისის აღმასკომის ქვემდებარე ტერიტორიას მთლიანად ან რომელიმე მის ნაწილს;

ბ) აღძრას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმებისა ან შეცვლის შესახებ ქ. ტფილისისა და მისი მაზრის მიმართ;

გ) შეაჩეროს, ტფილისის აღმასკომის კოლექტიური პასუხისმგებლობით სასამართლოს წინაშე, ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის განკარგულების განხორციელება, უკეთეს იგი არ შეესაბამება უმაღლეს საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანოთა დადგენილებებს.

შენიშვნა. ასეთი განკარგულების შეჩერებას და მოსაზრებას მისი გაუქმების აუცილებლობის შესახებ ტფილისის აღმასკომი აცნობებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და სათანადო სახალხო კომისარიატს ოცდაოთხი საათის განმავლობაში განკარგულების შეჩერების მომენტიდან.

დ) მეთვალყურეობა გაუწიოს ქვემდებარე ორგანოების მიერ ყველა დეკრეტისა, დადგენილებისა და განკარგულების შესრულებას, აგრეთვე განუმარტოს მათ ამ დეკრეტისა, დადგენილებისა და განკარგულების აზრი და მნიშვნელობა;

ე) გემოსცეს სავალდებულო დადგენილებანი არსებული კანონების საფუძველზე;

ვ) დაადოს ადმინისტრატიული გადასახდელი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა-სათვის არსებული დებულების საფუძველზე;

ზ) აღიაროს თავის უფლებათა ფარგლებში დისციპლინარული დევნა და აგრეთვე დაადოს დისციპლინარული გადასახდელი ტფილისის აღმასკომის ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედ თანამდებობის პირთ;

თ) გაუწიოს კონტროლი ტფილისისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე მყოფ, ხოლო ტფილისის აღმასკომის არა-ქვემდებარე საწარმოთ და დაწესებულებათ, მათ მუშაობაში ჩაურევლად, აღმოუჩინოს მათ დახმარება შეძლებისამებრ და აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანოთა უკანონო და მიზანშეწონილი მოქმედება აცნობოს სათანადო ცენტრალურ ორგანოს;

ი) ისარგებლოს იურიდიული პირის ყველა უფლება თავისი ფუნქციების ფარგალში, რაც ამა დებულებით არის განსაზღვრული.

21. საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების ხელმძღვანელობისათვის ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეადგინოს საარჩევნო კომისიები;

ბ) გაუწიოს მეთვალყურეობა ქ. ტფილისისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე არჩევნების წარმოებას.

22. რევოლუციონური წესრიგისა, მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად, კონტრრევოლუციისთან, ბანდიტიზმთან და შავნე ელემენტებთან საბრძოლველად ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) იმოქმედოს ამისათვის ყველა იმ საშუალებით, რაც მის განკარგულებაშია; საჭიროების დროს მიმართოს, სპეციალური მოქმედი კანონების თანახმად, შეიარაღებულ სამხედრო ძალას;

ბ) მიიღოს აღკვეთის ღონისძიებანი დანაშაულის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ და მოახდინოს სათანადო ორგანოების მეშვეობით, გაჩხრეკა, ამორკვევა და დაპატიმრება;



გ) მიიღოს ყოველი ღონისძიება გზათა და განსაკუთრებული სახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა დასაცავად;

დ) აღძრას შუამდგომლობა მის ქვემდებარე ტერიტორიაზე რევოლიუცი-ონური წესრიგის დასაცავად საგანგებო წესების შემოღებისა და მოხსნის შესა-ხებ, მომქმედი კანონების თანახმად;

ე) განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება იმ გარემოებათა ასაცი-ლებლად, რამაც გამოიწვია ტფილისის აღმასკომის ქვემდებარე ტერიტორიაზე სამხედრო წესების გამოცხადება;

ვ) ხელი შეუწყოს მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილი-ციის მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ზ) მეთვალყურეობა გაუწიოს თავის გამგებლობის ფარგლებში საპატიმრო ადგილებს;

თ) თვალყური ადევნოს ყრილობებისა, საჯარო კრებებისა, საზოგადო კრებებისა და გაერთიანებული კავშირების თათბირებისა და კონფერენციების შესახებ არსებული წესების დაცვას, საჭიროების დროს აკრძალოს ისინი, და, აგრეთვე, ზედამხედველობა გაუწიოს ბეჭდვითი სიტყვას.

შენიშვნა. ამა მუხლის პუნქტი „თ“-ით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება პროფესიონალურ (წარმოებითი) კავშირზე, რომელთა რეგისტრაცია და მოქმედება მოწესრიგებულია შრომის კოდექსის 151—167 მუხლებით.

ი) მიიღოს ღონისძიება ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესი-ისაგან ჩამოშორების დეკრეტის განსახორციელებლად და თვალყური ადევნოს რელიგიურ საზოგადოებებისა და სექტების მოქმედებას;

კ) თვალყური ადევნოს საჯარო გასართობებს.

23. მართვა-გამგელობის სფეროში, სავალდებულო დადგენილებათა გამო-ცემის გარდა, ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე აღმასრულებელ ორგანოთა მუშაობისა და საერთოდ მდგომარეობის მეთვალყურეობა;

ბ) მომქმედი კანონების ფარგლებში ვაჭრობის მოწესრიგება;

გ) სტიქიურ უბედურებათა (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა) ასაცილებ-ლად ღონისძიების მიღება, მათთან ბრძოლის წარმოება და მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა;

დ) ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა;

ე) ქალაქში და მაზრაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგა-სტრაციის ხელმძღვანელობა;

ვ) დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და კერძო მოქალაქეთა მოქმე-დების შესახებ საჩივრების მიღება, წარმართვა და სათანადო შემთხვევაში გან-ხილვა;

ზ) მორწმუნეთა ორგანიზაციებისათვის სარგებლობად სათანადო ხელშე-კრულებით კულტისათვის საჭირო შენობების ან სხვა ქონების გადაცემა; საერ-

თო მეთვალყურეობის გაწევა ამ ხელშეკრულებათა შესრულებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა მოქმედებისათვის.

24. სასამართლოს მოწყობისა და წარმოების სფეროში ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი, მოქმედი კანონების თანახმად: (ა) აირჩევს და გაიწვევს სახალხო მოსამართლეებს; (ბ) მიიღებს ღონისძიებას სასამართლოს დაწესებულებათა ბინით და აგრეთვე მუშაობისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური სახსარით უზრუნველსაყოფად; (გ) მიიღებს ღონისძიებას მშრომელ მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად.

25. საფინანსო და საგადასახადო სფეროში ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა:

ა) შეასრულოს დეკრეტები, დადგენილებები, წესები და ინსტრუქციები პირდაპირი და არა-პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების გაწერის შესახებ და მიიღოს უშუალო ღონისძიებანი გადასახადებისა და ნარჩენების გადახდევინებისათვის;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა ტფილისის აღმასკომის ქვემდებარე დაწესებულებანი და საწარმონი მათთვის გადადებულ სახსარს ხარჯადენ მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ, ხარჯთაღრიცხვის კრედიტების ფარგლებში და არ ეწეოდენ უკრედიტო ხარჯებს;

გ) თვალყური ადევნოს ტფილისის აღმასკომის ქვემდებარე ტერიტორიაზე ცენტრალურ ხელისუფლების მიერ დაწესებულ სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების განხორციელებას და მიიღოს ღონისძიება მათი მთლიანად და თავის დროზე სახელმწიფო სალაროში შეტანისათვის;

დ) შეასრულოს ცენტრალური ხელისუფლების ყველა განკარგულება, როგორც ნატურალური, ისე ფულადი გადასახადების გაწერისა და გადახდევინების შესახებ და აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე გადასახადთა განაკვეთების შეცვლის შესახებ.

26. ადგილობრივ ფინანსების სფეროში, სპეციალური კანონების თანახმად, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საერთო ხელმძღვანელობის გაწევა მთლად ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა საქმისათვის და მათი გადახდევინების წესების განსაზღვრა;

ბ) სისრულეში მოყვანა ტფილისის საბჭოების ყრილობის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტისა და საბჭოთა ყრილობისათვის ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა;

გ) შუამდგომლობის აღძვრა ადგილობრივ საჭიროებისათვის სახელმწიფო სადოტაციო და სასუბვენციო ფონდიდან სახსარის გადადების შესახებ და მიღებული დახმარების განაწილება მოთხოვნილების მიხედვით;

დ) დაწესება ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა მოქმედი კანონებით განსაზღვრულ წესით და ფაგრლებში;

ე) დაწესება და მოხმარება ადგილობრივი საჭიროებისათვის ძირითადი სახელმწიფო გადასახადების ზედნარებისა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში;

ვ) შუამდგომლობის აღძვრა აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ტე-

რიტორიაზე ისეთი ახალი გადასახადისა და გამოსაღების შემოღების შესახებ, რაც ნუსხაში გათვალისწინებული არ არის;

ზ) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების გადახდის ვადის დაწესება;

თ) ღონისძიების მიღება ადგილობრივი შემოსავლისა, გადასახადისა და გამოსაღების თავისდროზე შეტანისათვის; ღონისძიების განხორციელება არაპირიან გადამხდელთა წინააღმდეგ ნარჩენების გადახდევინებისათვის; აგრეთვე მათთვის საურავის დადება მომქმედი კანონების თანახმად;

ი) წესებისა და ინსტრუქციების გამოცემა ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენისა, აღსრულებისა და ანგარიშების წარმოებისათვის;

კ) როგორც საობლიგაციო, ისე მოკლევადიანი სესხის აღება სახელმწიფო კორპორატიული, კერძო დაწესებულებისაგან (საბანკო და სხ.) და კერძო პირებისაგან, როგორც ს. ს. რ. კ-ში, ისე საზღვარგარედ.

27. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების საქმეში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს, არსებული კანონების თანახმად, უფლება აქვს:

ა) შეადგინოს ადგილობრივი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით წარედგინება ტფილისის საბჭოების ყრილობას დასამტკიცებლად.

შენიშვნა. საბჭოების ყრილობის მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი წარედგინება ცნობად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ბ) განიხილოს ადგილობრივი და სათემო საბჭოების ბიუჯეტები, როგორც არსებითად, ისე იმ მხრივ, შეეფერებინ თუ არა ისინი არსებულ კანონებს;

გ) გადაიტანოს კრედიტები ადგილობრივი შემოსავალ-გასავლის ნუსხაში ერთი ხარჯთაღრიცხვიდან მეორეში.

28. სამეურნეო-ეკონომიურ და სავაჭრო-სამრეწველო სფეროში, მომქმედი კანონების დარღვების მიხედვით ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაევალება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს ტფილისის აღმასკომის უშუალო გამგებლობაში მყოფ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მუშაობასა და მოქმედებას; თვალყური ადევნოს კერძო შინა-მრეწველობის მუშაობას, ზედამხედველობა გაუწიოს ბაზრებსა და იარმუკებსა, აასრულოს ცენტრალურ სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ დაკისრებული დავალებანი და დახმარება აღმოუჩინოს პურის დამზადების ოპერაციებს;

ბ) მოაწყოს ახალი საწარმონი; დაამტკიცოს ქვემდებარე საწარმოთა და მათ შენაერთთა წარმოებით გეგმები და ხარჯთაღრიცხვები; შეადგინოს აღნიშნული გეგმები და ხარჯთაღრიცხვები; გასცეს იჯარათ საწარმონი და თვალყური ადევნოს საიჯარო ხელშეკრულების პირობათა შესრულებას;

გ) საქიროებისადა მიხედვით ტფილისის აღმასკომის გამგებლობაში მყოფი საწარმონი გადასცეს რესპუბლიკის უმაღლეს სამეურნეო დაწესებულებათ,

აგრეთვე მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა ცენტრალურ ორგანიზაციებთან მათთან შეთანხმებით;

დ) გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ყველა სახის კოოპერაციას;

ე) უპირატესობა მისცეს ყიდვა-მიწოდებისა, სამუშაოს ნარდათ გაცემისა და სხვა ამ გვარ ოპერაციების დროს, აგრეთვე საცხოვრებელი ბინებისა, სადგომებისა, დარბაზებისა, საწყობებისა და სხვ. გაცემის დროს კოოპერატიულ ორგანიზაციებს—კერძო საწარმოთა და პირებთან შედარებით.

ვ) მიიღოს ცეკავშირთან ერთად მონაწილეობა სამომხმარებლო კოოპერაციის მუდმივი ორგანიზაციის (გამგეობის, საბჭოების, სარევიზიო კომისიების) არჩევნებისა და ხელმოკრე არჩევნების ვადების დაწესებაში.

29. კომუნალურ მეურნეობის სფეროში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ყველა კომუნალური და საზოგადოებრივი შენობისა და ნაგებობის გამგებლობა, განკარგულება და ექსპლოატაცია;

ბ) წყალსადენისა, კანალიზაციისა და ელექტრონის განათებისა და სხვ. მოსაწყობად ყოველი საჭირო ღონისძიების მიღება;

გ) ქალაქის ქუჩებისა, მოედნებისა, ბაღებისა და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ადგილების სათანადო შენახვისათვის მეთვალყურეობა და ზრუნვა მათ მოწყობაზე;

დ) ახალი სახლების აშენებისა, სახლების რემონტისა და აგრეთვე ქალაქის ყველა სახლისა და ნაგებობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიების მიღება;

ე) საბინაო საქმის მოწესრიგება და მოქმედი კანონების ფარგლებში საცხოვრებელი სივრცის გამოყენება და განკარგულება;

ვ) ყოველგვარი საბინაო კოოპერაციის (საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა, მუშათა საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა და საერთო სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა) განვითარებისა და მოქმედებისათვის ხელისშეწყობა ფულადი სახსრის მიცემით, მიწის ნაკვეთების შედავათიან პირობებში მიჩენით, საშენი მასალის მიწოდებით და სხვ. საამისოდ არსებული კანონების თანახმად;

ზ) ადგილობრივი ტრანსპორტის ორგანიზაცია და გამგებლობა;

თ) სახანძრო საქმის გამგებლობა;

ი) საერთო მზრუნველობა კეთილმოწყობისათვის და საამისოდ საჭირო ღონისძიებათა მიღება.

30. შრომის დაცვისა და მოწესრიგების სფეროში ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობას შეადგენს:

ა) თვალყური ადევნოს, რათა შესრულებულ იქნეს ის კანონები და წესები, რაც დაქირავებული შრომის დაცვას შეეხება და ამ კანონებისა და წესების შესაარულებლად მიიღოს საჭირო იძულებითი ღონისძიებანი;

ბ) მოაწესრიგოს შრომის ბაზარი და მიიღოს ღონისძიებანი უმუშევრობასთან ბრძოლისათვის (მოწყობა საზოგადო. სამუშაოებისა, შრომითი არტელეებისა და სხვ.);

გ) ხელი შეუწყოს დაქირავებული შრომის ნიადაგზე აღძრული კონფლიქტების გადაწყვეტას;

დ) თვალყური ადევნოს ადგილობრივ შრომის სასყიდლის შესახებ მომქმედ დებულებათა შესრულებას;

ე) განახორციელოს სასანიტარო-სატეხნიკო ღონისძიებანი სამრეწველო, სავაჭრო და შინა-მრეწველობის დაწესებულებებში;

ვ) განახორციელოს სოციალური დაზღვევის კანონები და თვალყური ადევნოს სოციალური დაზღვევის წესების დაცვას.

შენიშვნა. აღნიშნულ ფუნქციებს ტფილისის აღმასკომი განახორციელებს შრომის კომისარიატის ორგანოების მეშვეობით.

31. სასოფლო-სამეურნეო სფეროში ტფილისის აღმასკომი მოვალეა:

ა) უზრუნველყოს ყოველი საადგილ-მამულო საზოგადოებისათვის უფლება მიწის სარგებლობის ფორმის თავისუფლად არჩევისა;

ბ) ხელი შეუწყოს გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციას და გაუწიოს მას ფართო დახმარება;

ზ) ყოველ მხრივ განავითაროს, გააუმჯობესოს და მატერიალურად უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ცდის საქმე, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო განათლება და აგრონომიული დახმარება;

დ) ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს სასარგებლო მცენარეულობისათვის (კულტურა) საქირო მიწის სივრცის გასაფართოებლად და გააუმჯობესოს სათესლე მასალა;

ე) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, მასალისა და სუღიერი ინვენტარის მიწოდებას;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს თესვის კამპანიებს და სამელიორაციო მუშაობას;

ზ) ხელი შეუწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდვრებისა, საგრილობელი პუნქტებისა, საჯიშოებისა, საფუტკრეებისა, სანერგეებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა მოწყობას და შენახვას;

თ) ხელი შეუწყოს სათესლე მასალისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და მანქანების საწყობებისა და სასოფლო-სამეურნეო გამოვენების მოწყობას, აგრეთვე ზემოაღნიშნული მანქანებისა და იარაღის შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობას;

ი) თვალყური ადევნოს ტყეების დაცვისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მეურნეობის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა განხორციელებას;

კ) მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება ტყეებში ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ და მისი ლიკვიდაციისათვის;

ლ) მიიღოს ღონისძიებანი კულტურული მნიშვნელობის დიდრონ-დიდრონი ბაღების დაცვისა და გამრავლებისათვის;

მ) მოაწყოს მოსახლეობისათვის აგრონომიული და სავეტერინარო დახმარების პუნქტების ქსელი;



ნ) ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს მშრომელ გლეხობას მიწის და-
მუშავების გაუმჯობესებისათვის და ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის;

ო) მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ისეთი მეურნეობის დაცვისა და წარ-
მატებისათვის რომელიც უფრო გაუმჯობესებულ და რთულ სამეურნეო ფორ-
მებზე გადადის;

პ) ხელი შეუწყოს სამაზრო საადგილ-მამულო კომისიის მუშაობას და
თვალყურს ადევნოს, რათა იგი წესიერად მოქმედებდეს.

32. სახალხო ჯანმრთელობის სფეროში ტფილისის აღმასრულებელი კო-
მიტეტი:

ა) გამგებლობასა და ხელმძღვანელობას გაუწევს მთლად ქალაქ ტფილი-
სისა და მისი მაზრის ტერიტორიაზე საექიმო-სასანიტარო საქმეს, სამკურნა-
ლო და სხვა დაწესებულებათ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უშუალო
განკარგულებაში მყოფ დაწესებულებათა გამოკლებით;

ბ) წინასწარ ღონისძიებას მიიღებს გადაადგმ სნეულებათა გავრცელების
წინააღმდეგ და მოაწყობს მათთან ბრძოლას;

გ) მოაწყოს სასანიტარო ზედამხედველობას და სასანიტარო-საგანმათლე-
ბლო მუშაობას;

დ) მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს დედობისა, ბავშობისა და
ჩვილობის დაცვის საქმეს;

ე) ხელს შეუწყობს სანატორიუმებისა, დისპანსერებისა და დასასვენებე-
ლი სახლების გახსნას;

ვ) უზრუნველყოფს ყველა სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებას სა-
ჭირო მედიკამენტებით;

ზ) ხელს შეუწყობს საექიმო პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებას,
მეთვალყურეობას გაუწევს აღმასკომის ტერიტორიაზე მომუშავე კერძო ექიმთა
და სხვა საექიმო პერსონალისა, ლაბორატორიებისა, კაბინეტებისა და სხვა და-
წესებულებათა პროფესიონალურ მუშაობას;

თ) მიიღებს ყველა საჭირო ღონისძიებას ქალაქისა და მაზრის ტერიტო-
რიის გასაჯანსაღებლად;

ი) თვალყურს ადევნებს სავაქრო დაწესებულებათა და სამრეწველო საწა-
რმოთა სანიტარულ მდგომარეობას.

33. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ტფილისის აღმასრულებელი
კომიტეტი მოვალეა:

ა) ხელი შეუწყოს გლეხთა ურთი-ერთი დახმარების ორგანიზაციების მო-
წყობასა და მოქმედებას;

ბ) მოაწყოს, გლეხთა ურთი-ერთი დახმარების ორგანოთა მეშვეობით, სა-
სოფლო-სამეურნეო შრომითი და სხვაგვარი დახმარება წითელ-არმიელთა სა-
სოფლო მეურნეობისა, ინვალიდთა და ფრონტზე ან სამსახურის მოვალეობის-
ასრულების დროს მოკლულთა ოჯახებისა და უღარიბეს გლეხთა მეურნეობი-
სათვის;

გ) უზრუნველყოს იმ წითელარმიელთა, ინვალიდთა და ფრონტზე ან სამსახურის ასრულების დროს მოკლულთა ოჯახების არსებობა, რომელთაც არა ჰქავთ შრომის უნარიანი წევრი და არა აქვთ შემოსავლიანი მეურნეობა ან სარეწაო;

დ) გაუწიოს დახმარება სტიქიურ უჩვეულებრივად დაზარალებულ მცხოვრებთ და კონტრ-რევოლუციის მსხვერპლთ.

შენიშვნა. აღნიშნულ ფუნქციებს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი განახორციელებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოების მეშვეობით, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ქ. ტფალისს და მის მაზრას.

34. კულტურულ-განმანათლებელ სფეროში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) განაგოს და მოაწყოს მის ქვემდებარე ტერიტორიის ფარგლებში სახალხო განათლების საქმე, უხელმძღვანელოს ყველა სასწავლებელს, განათლების სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფ სასწავლებელთა გამოკლებით;

ბ) მიიღოს ყოველი ღონისძიება მოსახლეობის კულტურული და პოლიტიკური ღონის ასამაღლებლად, რისთვისაც მოაწყობს საზოგადო და სპეციალურ სასწავლებლებს, შეინახავს და უზრუნველყოფს ამ სასწავლებლებს ფულით და მატერიალური სახსრით;

გ) განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის;

დ) მიიღოს ღონისძიებანი მოსწავლეთათვის იაფფასიანი სასწავლო ხელსაწყოების მიწოდებისათვის;

ე) თვალყური ადევნოს სწავლების საქმის წესიერად დაყენებას;

ვ) ხელი შეუწყოს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, სამკითხველოებს, სახალხო სახლებს, კლუბებს, საბავშვო ბალებს, კურსებს, ქობსამკეთავბუკელოებს, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პუნქტებს, მოზრდილთა სკოლებს, საბჭოთა პარტიულ სკოლებს, წიგნთსაცავებს, თეატრებს, კინო-თეატრებს და სხვ.;

ზ) ხელი შეუწყოს პროფესიონალურ-ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმეს;

თ) განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი უპატრონო ბავშვთა მოვლისა და მათი უფლებრივად დაცვისათვის;

ი) ხელი შეუწყოს განათლების მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

კ) ხელი შეუწყოს სახალხო განათლების საქმისათვის კონფერენციებისა, ყრილობებისა და თათბირების მოწვევის საქმეს და სახალხო განათლების დახმარების კამპანიის განხორციელებას;

ლ) ზედამხედველობა გაუწიოს კერძო სწავლებას, წაგნების კერძო ვაჭრობას, კერძო ბიბლიოთეკებს და სხვ.;

35. ტფილისის აღმასკომს დაეკისრება: ხელი შეუწყოს წითელ-არმიას, წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში; მიიღოს ღონისძიება ჯარის ნაწილების საბინადრო განაწილებისათვის, ხელი შეუწყოს სამხედრო უწყების ორგანოებს მორიგი გაწვევებისა და სამხედრო მობილიზაციის განხორციელების საქმეში, დეზერტირობასთან ბრძოლაში, საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმეში და ჯარის ბინებით დაკმაყოფილების ხარჯებში, თანახმად ამის შესახებ არსებული კანონებისა.

36. სტატისტიკური გამოკვლევების მოწყობისა და წარმოების სფეროში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებით ყველა სტატისტიკური სამუშაოს ასრულება;

ბ) მოსახლეობისა, სოფლის მეურნეობისა და ტყისა (მათი ყველა დარგით), მრეწველობისა, ტრანსპორტისა, ფინანსებისა, შეფასებისა, მომარაგებისა, განაწილებისა, ვაჭრობისა, სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობისა, სანიტარიისა და სხვა სტატისტიკის წარმოება;

გ) სტატისტიკური მასალების შემუშავება.

37. ნაციონალური პოლიტიკის სფეროში აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) განახორციელებს ყველა იმ დადგენილებასა და განკარგულებას, რაც ეროვნულ საკითხებს შეეხება;

ბ) განახორციელებს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვას;

გ) მიიღებს ღონისძიებას ეროვნულ უმცირესობათა ჩამორჩენილი ელემენტების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული წარმატებისათვის.

თ ა ვ ი II.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

38. პრეზიდიუმს აირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი თავის წრიდან და მასში შედის 23 წევრი და 3 კანდიდატი.

39. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიზანს შეადგენს ტფილისის საბჭოთა ყრილობისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ქვემდებარე დაწესებულების მოქმედების წარმართვა და გაერთიანება.

აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე პრეზიდიუმს აქვს კომიტეტის ყველა უფლება.

40. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება: თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, მდივნისა და პრეზიდიუმის წევრებისაგან.

41. პრეზიდიუმის შედგენილობის კანონიერებისათვის საჭიროა მის სხდომას დაესწროს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის 5 ხევარი მაინც.

42. პრეზიდიუმის სხდომაზე ყველა საკითხი გადასწყდება ხმის ახდილად მიცემით და ხმის მარტივი უმეტესობით.

43. პრეზიდიუმს სხდომა მოხდება კვირაში ერთხელ მაინც.

44. სასწრაფო შემთხვევაში პრეზიდიუმის თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს ისეთი ღონისძიება, რაც პრეზიდიუმის კოლეგიის კომპეტენციას შეადგენს, ხოლო იგი მოვალეა თავის მოქმედების შესახებ მოახსენოს პრეზიდიუმს უახლოეს სხდომაზე.

45. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი:

ა) შეამზადებს ტფილისის აღმასკომის სხდომებისათვის მასალებს;

ბ) შეიტანს ტფილისის აღმასკომში განსახილველად დადგენილებათა პროექტებს;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს ტფილისის აღმასკომის სხდომებს და წარუდგენს მას თავის მუშაობის ანგარიშს;

დ) მეთვალყურეობას გაუწევს ტფილისის აღმასკომის დადგენილებათა აღსრულებას;

ე) ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ურთიერთ მიმართავს იქონიებს ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებასთან და კერძო პირთან;

ვ) გადასწყვეტს იმ საკითხებს და კონფლიქტებს, რაც ერთის მხრით—აღმასკომის განყოფილებათ და მეორეს მხრით—ხელისუფლების ქვემდგომ ორგანოთა ურთიერთობას ეხება, აგრეთვე მიიღებს ღონისძიებას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან საკითხებისა და კონფლიქტების მოსაგვარებლად;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს არჩევნებს და ხელახალ არჩევნებს ტფილისის აღმასკომის ტერიტორიის ფარგლებში და თვალყურს ადევნებს ამ არჩევნების კანონიერებას;

თ) ინსტრუქციობას გაუწევს ყველა ქვემდგომ აღმასრულებელ ორგანოს და მიიღებს ღონისძიებას საბჭოთა აპარატის გასამარტივებლად.

პრეზიდიუმთან არსებული კომისიების შესახებ.

46. ამა დებულებით დაკისრებულ დავალებათა სათანადო შესრულებისათვის პრეზიდიუმთან მოეწყობა საგეგმო კომისია, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

ტფილისის აღმასკომის განყოფილებანი.

47. ამა დებულებით დაკისრებული საქმის განსახორციელებლად ტფილისის აღმასკომთან მოეწყობა შემდეგი განყოფილებები: 1—ადმინისტრატიული, 2—კომუნალური მეურნეობის, 3—საფინანსო, 4—სახალხო განათლებისა, 5—ჯანმრთელობისა, 6—სადაგილ-მამულო, 7—სტატისტიკური, 8—საორგანიზაციო, 9—ადგილობრივი მრეწველობისა და 10—საფინანსო კონტროლის.

48. ყოველი განყოფილება თავის ვამგებლობის სფეროში განახორციელებს საბჭოთა მმართველობისა და მეურნეობის ცალკე დარგებში ამა დებულებით გათვალისწინებულ მიზნებს და ღონისძიებებს, უხელმძღვანელებს და კონტროლს გაუწევს ყველა მის ქვემდებარე ორგანოს მუშაობას, წარუდგენს ტფილისის აღმასკომს, მის პრეზიდიუმს და სათანადო სახალხო კომისარიატს ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ.



49. განყოფილებებს მათ მოქმედებაში წარმართავენ, ინსტრუქციებს მისცემენ, კონტროლსა და ხელმძღვანელობას გაუწევენ ტფილისის აღმასკომი, მისი პრეზიდიუმი და სათანადო სახალხო კომისარიატი დადგენილებებით და განკარგულებებით.

50. უკეთუ ტფილისის აღმასკომისა, მისი პრეზიდიუმისა და სახალხო კომისარიატის განკარგულებათა შორის აღმოჩნდება რაიმე წინააღმდეგობა და აგრეთვე უკეთუ განყოფილებისთვის შეუძლებელი იქნება, ტენიკური და სხვა რაიმე მიზეზის გამო, ამა თუ იმ განკარგულების ერთდროული შესრულება, განყოფილების გამგე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ტფილისის აღმასკომსა და სათანადო სახალხო კომისარიატს.

51. წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი შეიძინოს დღის ვადაზე ან გააუქმებს თავის განკარგულებას ან ისარგებლებს ამ დებულების მე-20 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ უფლებას.

52. უკეთუ საქიროება მოითხოვს სავალდებულო დადგენილების გამოცემას, ტფილისის აღმასკომის სათანადო განყოფილება წარადგენს ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმში დადგენილების პროექტს, რომელიც შეიძლება გამოცემულ იქნეს ტფილისის აღმასკომის გამგებლობის ფარგლებში ტფილისის აღმასკომის სახელით თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელმოწერით.

53. უკეთუ განყოფილება არ დაეთანხმა პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაიტანოს საქმე ტფილისის აღმასკომში. გადატანა ესე ვერ შეაჩერებს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების აღსრულებას.

54. ყოველი განყოფილების სათავეში სდგას განყოფილების გამგე, რომელსაც დაასახელებს ტფილისის საბჭო და დაამტკიცებს აღმასრულებელი კომიტეტი ერთი წლის ვადით. სათანადო სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოითხოვოს არჩეული გამგის ჩამოცილება, უკეთუ განყოფილების გამგის დანიშვნის გამო აღმასკომსა და სათანადო სახალხო კომისარიატს შორის შეთანხმება არ მოხდა, საქმე გადასაწყვეტად გადადის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში.

შენიშვნა 1. საორგანიზაციო განყოფილების გამგე არჩეულ უნდა იქნეს საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. განყოფილების გამგე შეიძლება იყოს არა აღმასკომის წევრიც.

55. აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან დაითხოვოს, ან ღროებით გადააყენოს თანამდებობიდან განყოფილების გამგე, უკეთუ იგი ჩაიდენს თანამდებობითი დანაშაულს, გამოიჩინოს უმოქმედობას ან თავისი დანიშნულებისათვის შეუფერებელი იქნება. ყოველ ასეთ განკარგულებას ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს სათანადო კომისარიატს.

56. განყოფილების გამგე პასუხს აგებს როგორც აღმასკომის, ისე სათანადო

და სახალხო კომისარიატის წინაშე განყოფილებისა და ყველა ქვემდებარე დაწესებულების მუშაობის მსვლელობისათვის.

57. თვითეული განყოფილების დაწვრილებითი ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობანი, გამგებლობის საგანი და სახელმძღვანელო წესები განისაზღვრება ცალკე დებულებით, რასაც შეიმუშავენ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

თ ა ვ ი III.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრის უფლება-მოვალეობანი.

58. აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი ასრულებს განსაზღვრულ მოვალეობას, რასაც მას აღმასრულებელი კომიტეტი დააკისრებს.

59. აღმასრულებელი კომიტეტის ყოველ წევრს უფლება აქვს მიმართოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს წინადადებით აღმასკომის გამგებლობის საგნების შესახებ.

60. აღმასრულებელი კომიტეტის წევრს აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის სახელით გამოსვლა შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას დაავალებს აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი.

61. აღმასკომის წევრს, რომელიც, პატივსაღებ მიზეზის გარეშე, სამჯერ არ დაესწრება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, შეიძლება აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადოს დისპლინარული გადასახდელი.

62. ქალაქ ტფილისისა და მისი მაზრის ფარგლებში არ შეიძლება აღმასრულებელი კომიტეტის წევრის დაპატიმრება, უკეთუ წინასწარ არ ეცნობა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ან მის თავმჯდომარეს.

144. დადგენილება № 89 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ და „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შეცვლის შესახებ“ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1927 წ. თებერვლის 25 თარიღით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 122) თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9, 14, 14¹, 15 მუხ. შენიშვნა, 31, 34, 55 და 56 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 9. უკეთეს ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა ზ ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ანალოგიით, რომლითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით უმეტესად მსგავსი დანაშაული.

მუხ. 14. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედების ჩამდენს სოციალური დაცვის ღონისძიება სრულიად არ შეეფარდება, უკეთეს სასამართლო სცნობს, რომ მოქმედება ესე ჩადენილია მარტოოდენ ისეთი ხელყოფის აუცილებელი მოგერებისათვის, რაც მიმართულ იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ან თვით მომგერებლისა თუ სხვა ვისიმე პიროვნებისა და უფლების წინააღმდეგ, და თუ ამასთანავე აუცილებელი მოგერების საზღვარი გადაცილებული არ იყო.

მუხ. 14¹. სოციალური დაცვის ღონისძიება არ შეიფარდება, უკეთეს იგივე მოქმედება ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის გამო, ე. ი. საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომლის აცილებაც ამ გარემოებაში სხვა ღონისძიებით შეუძლებელი იყო, და უკეთეს ამასთანავე მიყენებული ვნება აცდენილ ვნებაზე ნაკლებია.

მუხ. 15. სისხლის სამართლით დევნა არ შეიძლება:

ა) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, გაივლის ათი წელიწადი;

ბ) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა, გაივლის ხუთი წელიწადი;

გ) ყველა სხვა დანაშაულისათვის, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 106, 157, 158 მუხ., 161 მუხ. 1-ნაწ., 177, 178, 180, 181 და 182 მუხ. გათვალისწინებული დანაშაულისა, — როდესაც დანაშაულის ჩადენიდან გაივლის სამი წელიწადი;

დ) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 106, 157, 158 მუხ., 161 მუხ. 1 ნაწ., 177, 178, 180, 181 და 182 მუხ., გაივლის ერთი წელიწადი.

ხანდაზმულობა შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთეს სათანადო ვადის განმავლობაში ამა თუ იმ საქმეზე არა ყოფილა არავითარი წარმოება. ხანდაზმულობის დენა შესწყდება, უკეთეს დანაშაულის ჩამდენი ხანდაზმულობის სათანადო ვადის განმავლობაში ჩაიდენს სხვა იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს ან დაემალება გამოძიებასა და სამართალს;

ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის დენა დაიწყება დღიდან მეორე დანაშაულის ჩადენისა ან შეჩერებული წარმოების განახლებისა.

გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში სულაც არ მოიყვანება, უკეთუ იგი ასრულებულ არ იქნა ათი წლის განმავლობაში მისი გამოტანის დღიდან.

შენიშვნა 1. სასამართლოს შეუძლიან, თავისი შეხედულები-სამებრ, შეაფარდოს ან არ შეაფარდოს ხანდაზმულობა თვითეულ ცალკე შემთხვევაში, უკეთუ ესა თუ ის პირი პასუხისგებაშია მიცემული კონტრ-რევილიუციონური დანაშაულისათვის; ხოლო, უკეთუ სასამართლო შესაძ-ლებლად არა სცნობს ხანდაზმულობის შეფარდებას, დახვრეტა, თუ იგი გა-დაწყვეტილ იქნა ამ დანაშაულისათვის, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მშრომელთა მტრად გამოცხადებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლი-კის მოქალაქეობისა და ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და კავშირის ფარგლებიდან სამუ-დამოდ გაძევებით, ან თავისუფლების აღკვეთად არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით.

შენიშვნა 2. სასამართლოზეა დამოკიდებული შეუფარდოს ხანდაზ-მულობა იმ პირს, ვინც პასუხისგებაშია მიცემული მუშათა კლასისა და რევილიუციონური მოძრაობის საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისა და აქტიური ბრძოლისათვის, რაც მას გამოუჩენია პასუხსაგებ ან საიდუმლო თანამდებობაზე, როდესაც იგი სამსახურში იყო სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრრევილიუციონურ მთავრობასთან სამოქალაქო ომის ხანა-ში, — აგრეთვე გადასწყვიტოს საკითხი სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიების -- დახვრეტის — შეცვლის შესახებ.

შენიშვნა 3. ამა მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობა არა ვრცელდება ისეთ ქმედობაზე, რაც ამა კოდექსის თანახმად დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით, და ასეთ ქმედობისათვის გადასახდელის დადება შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი ჩადე-ნისა, ხოლო ამ გადასახდელის შესახები დადგენილების ასრულება — ერთი წლის განმავლობაში დღიდან დადგენილების ძალაში შესვლისა.

მუხ 31. უფლების აყრა არის ჩამორთმევა:

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებისა;

ბ) საზოგადოებრივ ორგანიზაციაში არჩევით თანამდებობის დაქერის უფლებისა;

გ) ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის დაქერის უფლებისა და

დ) საპატიო წოდების ტარების უფლებისა.

უფლების აყრა შეიძლება ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

როდესაც უფლების აყრა დაერთვის თავისუფლების აღკვეთას, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება, იგი ვასტანს შოლად პატიმრო-ბის ვადას და, ამას გარდა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ ვადასაც.

მუხ. 34. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან ან ამ რესპუბლიკის განსაზღვრული ადგილიდან განდევნა ამა თუ იმ ადგილას დასახ-

ლებით ან უამისოდ ან და ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ (მუხ. 21, „ზ“ პუნქტი) სასამართლოს შეუძლიან გადაუწყვიტოს იმას, ვისაც იგი სოციალურად საშიშ პიროვნებად სცნობს მისი დანაშაულებრივი მოქმედების გამო ან იმის გამო, რომ მას კავშირი აქვს უწყებული ადგილის დანაშაულებრივ წრესთან.

ეს ღონისძიება სასამართლოს შეუძლიან, პროკურატურის ორგანოს წინადადებით, შეუფარდოს ზეპოლიციურ კატეგორიების პირს როგორც იმის მიუხედავად, იქნება თუ არა იგი პასუხისგებაში მიცემული განსაზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის, ისე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას, განსაზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისგებაში მიცემულს, სასამართლო გაამართლებს, მაგრამ მაინც სოციალურად საშიშ პიროვნებად სცნობს.

განსაზღვრული ვადით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან განდევნა შეიძლება მხოლოდ იმ წესით, რაც დადგენილია საერთო საკავშირო კანონმდებლობით, ხოლო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ერთი ადგილიდან მეორე ადგილას განდევნა შეიძლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

ამა მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

მუხ. 55. ის, ვისაც სოციალური დაცვის ღონისძიება ვადით გადაეწყვიტა და გამოსწორება დაეტყო, შეიძლება ვადამდე პირობით განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების დანარჩენი ნაწილის მოხდისაგან.

ვადამდე პირობითი განთავისუფლება გამოიხატება ან სოციალური დაცვის ღონისძიების მოუხდელი ნაწილისაგან განთავისუფლებით, ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების უფრო მსუბუქ ღონისძიებად შეცვლით.

მუხ. 56. ვადამდე პირობით განთავისუფლების შეფარდების წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებით.

II.

სისხლის სამართლის კოდექსის 74—77, 82², 82³, 82⁴, 84, 86, 91 მუხ., მე-100 მუხ., მე-3 ნაწ. (კვალიფიციური კონტრაბანდა), 101 მუხ. მე-2 ნაწ., 140 და 142 მუხ. ნაცვლად შეტანილ იქნეს 59¹,—59⁴, 82¹, 82², 82³, 82⁴, 84, 86, 91 მუხ. მე-100 მუხ. მე-2 ნაწ., 101 მუხ. მე-2 ნაწ., 140 და 142 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 59¹. მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება ისეთი დანაშაული, რაც აუმცა კონტრარევილიუციონური მიზნით არ არის ჩადენილი, მაგრამ არღვევს მართველობის ან სახალხო მეურნეობის ორგანოთა წესიერ მუშაობას და რასაც თან ერთვის ხელისუფლების ორგანოებისადმი წინააღმდეგობა, ამ ორგანოების მუშაობისათვის ხელის შეშლა, კანონებისადმი

დაუმორჩილებლობა ან ხელისუფლების ძლიერებისა და ავტორიტეტის შემსუსტებელი სხვა მოქმედება.

ასეთ დანაშაულთა შორის განსაკუთრებით საშიშარ დანაშაულად ჩაითვლება ისეთი დანაშაული, რაც არყვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მართველობისა და სამეურნეო ძლიერების საფუძვლებს.

მუხ. 59². წესიერების მასიური უარღვევა, რასაც თან ერთვის დარბევა, რკინის გზის ლიანდაგის ან მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა განადგურება, მკვლელობა, ცეცხლის წაყიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, გამოიწვევს:

ა) წესიერების მასიური დარღვევის მოწყობისა და ხელმძღვანელობისათვის და აგრეთვე ყველა იმ პირისათვის, ვინც მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნულ დანაშაულის ჩადენაში ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს ხელისუფლებას—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით; ხოლო, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში, სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდე— დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით;

ბ) დანარჩენ მონაწილეთათვის—

თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს სამი წლისა.

მუხ. 59³. წესიერების მასიური დარღვევა, რაც დამამძიმებელი არ არის ზემოაღნიშნული დანაშაულით, ხოლო რასაც თან ერთვის აშკარა დაუმორჩილებლობახელისუფალთა კანონიერ მოთხოვნებისათვის, ან ამ ხელისუფალთათვის წინააღმდეგობის გაწევა კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, ან მათი იძულება აშკარად უკანონო მოთხოვნის შესრულებისათვის გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს ერთი წლისა.

მუხ. 59⁴. ბანდიტიზმი, ე. ი. შეიარაღებული ბანდის მოწყობა და ამ ბანდაში მონაწილეობა, აგრეთვე მონაწილეობა ბანდის თავდაცემაში საბჭოთა და კერძო დაწესებულებაზე ან ცალკე მოქალაქეზე, მატარებლის გაჩერება, რკინის გზის ლიანდაგისა და მიმოსვლის და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა განადგურება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით, მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით; ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

მუხ. 82². უარის თქმა ნამდვილ სამხედრო სამსახურის მოხდაზე ან თავის არიდება ამ სამსახურში გაწვევისაგან გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას აქვს თვემდე და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ დამნაშავე გაიგზავნება ჯარის ნაწილში სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში; ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში—საღისციბლინო.



გადასახდელს, რასაც გადაუწყვეტს იმ სამხედრო ნაწილის უფროსი, სადაც დამნაშავე გაიგზავნება.

მუხ. 82^ა. იგივე მოქმედება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში, კერძოდ, თავის არიდება საკუთარი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით, ყალბი დოკუმენტის გაკეთებით, თანამდებობის პირის მოსყიდვით და სხვ., აგრეთვე სარწმუნოების მომიჯნავეებით—გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე იმ შედეგებით, რაც 82^ა მუხლშია აღნიშნული.

მუხ. 92^ა. თავის არიდება მობილიზაციისაგან მეშათა და გლეხთა წითელ არმიაში ან ფრონტისა და ზურგის სამომსახურო კომანდებში გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კანფისკაციით, სამეთაურო შედგენილობის პირისათვის კი—არა ნაკლებ ორი წლისა; ხოლო, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვეს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

წენიშვნა. ომიანობის დროს თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაიდოს საომარ მოქმედებათა დამთავრებამდე, ხოლო თვით მსჯავრდადებული გაიგზავნება მოქმედ არმიაში იმ თანამდებობაზე, რაზედაც მას დანიშნავს სამხედრო ხელისუფლება; სათანადო ნაწილის უფროსს შეუძლიან მსჯავრდადებულის ყოფა-ქცევის მიხედვით, აღძრას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, რომ მსჯავრდადებული სრულებით განთავისუფლებული იქნეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან.

მუხ. 84. პროპაგანდა თუ აგიტაცია ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების გამოსაწვევად, და აგრეთვე ამავე ხასიათის ლიტერატურის გავრცელება ან დამზადება და შენახვა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

იგივე მოქმედება ომის პირობებში ან მასიური მღელვარების დროს გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან ნაწილის კონფისკაციით;

ხოლო, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—

სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვეს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

მუხ. 68. გაკეთება ყალბი ლითონის ფულისა, სახელმწიფო სახაზინო ბილეთისა, სახელმწიფო ბანკის ბილეთისა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდისა და აგრეთვე უცხო სახელმწიფოს ვალიუტისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა.

იგივე ქმედობა ან ყალბი ნაკეთობის გასაღება, უკეთუ ეს ჩადენილია ხელობის სახით, გამოიწვევს

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას — დახვრეტას, ქონების კონფისკაციით.

ხოლო უკეთეს დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწესდეს იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

გაკეთება ყალბი საფოსტო გადასახდელი ნიშნისა, რკინის გზისა და წყალსადენი გზის ტრანსპორტის ბილეთისა და სხვა სამიმოსვლო და სატვირთო დოკუმენტისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა ან ყალბი ნაკეთობის გასაღება, უკეთეს ეს ჩადენილია ხელობის სახით, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

მუხ. 91. განუცხადებლობა ამა კოდექსის 59^ა, 59^ბ, 59^გ და 86 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისა იმ პირის მიერ, რომელმაც ნამდვილად იცის, რომ ეს დანაშაული ჩადენილია ან მხადდება ჩასადენად, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერო წლამდე.

მუხ. 100. მე-3 ნაწილი, დაწყებულ სიტყვებიდან: „საბაჟო წესდების 262 მუხ. აღნიშნულ შედეგის გარდა“ შეიცვალოს შემდეგნაირად:

საბაჟო სამმართველოს მიერ კონტრაბანდული საქონლის კონფისკაციისა და დადებული ჯარიმის გარდა—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით;

ხოლო, უკეთეს დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—

სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდეც—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

მუხ. 101 ნაწ. მე-2. ხელის შეწყობა სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადასვლის ან გადმოსვლისათვის, უკეთეს ეს ხელის შეწყობა ჩადენილია ხელობის სახით ან თანამდებობის პირის მიერ, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა სასტიკი იზოლაციით.

მუხ. 140. იმ დებულების დარღვევა, რითაც მოწესრიგებულია სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

დარღვევა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დებულებისა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

მუხ. 142. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

III.

სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი თავის 1-ლი კარის (კონტრრევოლიუციონური დანაშაული) 58—73 მუხლების ნაცვლად შეტანილ იქნეს 58¹—58¹⁴ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 58¹. კონტრრევოლიუციონურ მოქმედებად ჩაითვლება ყოველი ისეთი მოქმედება, რაც მიმართულია მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლებისა და ამ საბჭოების მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე არჩეულ სსრკ-სა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა მთავრობების ხელისუფლების დასამხობად, ძირის გამოსათხრელად, ან დასაძაბუნებლად, ან ისეთი მოქმედება, რაც მიმართულია სსრკ-ის გარეშე საფრთხისაგან უზრუნველყოფის საქმისათვის და პროლეტარული რევოლუციის ძირითად სამეურნეო, პოლიტიკურ და ნაციონალურ მონაპოვართა ძირის გამოსათხრელად და დასაძაბუნებლად.

მშრომელთა ინტერესებსა საერთაშორისო სოლიდარობით იგივე მოქმედება კონტრრევოლიუციონურ მოქმედებად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიმართულია მშრომელთა ყველა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუნდაც ეს სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არ შედიოდეს.

მუხ. 58². შეიარაღებული აჯანყება ან შეიარაღებული ბანდების შემოსევა საბჭოთა ტერიტორიაზე კონტრრევოლიუციონური მიზნით, ცენტრში ან ადგილებზე ხელისუფლების ხელში ჩაგდება იმავე მიზნით და, კერძოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა თუ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ნაწილის ძალით ჩამოსაკვეთად ან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების მოსაშლელად—გამოიწვევს

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას—დახვრეტას ან მშრომელთა მტრად გამოცხადებას, ქონების კონფისკაციით და მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან საშუალოდ გაძევებით;

ხოლო, უკეთეს დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში—სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწესდეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

მუხ. 58³. კონტრრევოლიუციონური მიზნით ურთიერთობის დაჭერა უცხო სახელმწიფოსთან ან მის ცალკე წარმომადგენელთან და აგრეთვე რაიმე სახით ხელის შეწყობა ისეთ უცხო სახელმწიფოსათვის, რომელსაც ომი აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან ან რომელიც ებრძვის მას ინტერვენციით და ბლოკადით, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58^ა მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას. მუხ. 58^ა. დახმარების აღმოჩენა, რითაც უნდა იყოს, საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილისათვის, რომელიც არა სცნობს კომუნისტურ სისტემას იმ თანასწორ სისტემად, რამაც უნდა შესცვალოს კაპიტალისტური სისტემა, და ისწრაფვის დაამხოს იგი, აგრეთვე დახმარების აღმოჩენა ამ ბურჟუაზიის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ან მის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებაში—გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით,

ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებაში,—სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდეც—დახვრეტამდე—ან მშრომელთა მტრად გამოცხადებამდე, ქონების კონფისკაციით და მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით.

მუხ. 58^ბ. უცხო სახელმწიფოს ან ამ სახელმწიფოში არსებული რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის დაყოლიება მის წარმომადგენელთან ურთიერთობის დაქერით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვა რაიმე საშუალებით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ომი გამოუცხადოს, მის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩაერიოს ან სხვა რაიმე მტრული მოქმედება გაუწიოს, კერძოდ: ბლოკადა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ხელში ჩაგდება, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან დადებული ხელშეკრულების მოსპობა და სხვა, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58^ბ მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58^გ. ჯაშუშობა, ე. ი. უცხო სახელმწიფოსათვის, კონტრრევოლუციონურ ორგანიზაციისა ან კერძო პირისათვის ისეთი ცნობის გადაცემა, გატაცება ან შეკრეფა გადაცემის მიზნით, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

ხოლო უკეთუ ჯაშუშობას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ინტერესებისათვის,—

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას—დახვრეტას ან მშრომელთა მტრად გამოცხადებას, ქონების კონფისკაციით, მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და ამ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და პირებისათვის სასყიდლოთ თუ უსასყიდლოთ ისეთი ეკონომიური ცნობების გადაცემა და გატაცება ან შეკრევა გადაცემის მიზნით, რაც თავისი შინაარსით სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ხოლო რომლის გახმაურებაც პირდაპირ აკრძალულია კანონით ან უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელის განკარგულებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

შენიშვნა 1. სპეციალურად დასაცავ სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება ყველა ის ცნობა, რაც ჩამოთვლილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, დამტკიცებულ და საყოველთაოდ გამოცხადებულ განსაკუთრებულ ნუსხაში.

შენიშვნა 2. სამხედრო მსახურის ჯაშუშობისათვის ძალაში რჩება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 31-ს დამტკიცებული „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 24 ნომრით, მუხ. 207) მე-16 მუხლი.

მუხ. 58⁷. კონტრრევოლუციონური მიზნით ძირის გამოთხრა სახელმწიფო მრეწველობისა, ტრანსპორტისა, ვაჭრობისა, ფულის ტრიალის ან საკრედიტო სისტემისათვის, აგრეთვე კოოპერაციისათვის, საამისოდ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა გამოყენებით ან მათი ნორმალური მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევით, აგრეთვე ყოფილ მესაკუთრეთა და დაინტერესებულ კაპიტალისტურ ორგანიზაციათა სასარგებლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა გამოყენება ან და წინააღმდეგობის გაწევა მათი ნორმალური მოქმედებისათვის — გამოიწვევს

ამა კოდექსის 58² მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58⁸. ისეთი ტერორისტული აქტის ჩადენა, რაც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან მუშათა და გლეხთა რევოლუციონური ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ, აგრეთვე მონაწილეობა ამ აქტის შესრულებაში ისეთი პირისაც-კი, რომელიც არ ეკუთვნის კონტრრევოლუციონურ ორგანიზაციას, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58² მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58⁹. კონტრრევოლუციონური მიზნით რკინის გზისა ან სხვა რამ გზისა, მიმოსვლისა და სახალხო კავშირგაბმულობის საშუალებათა, წყალსადენისა, საზოგადო საწყობისა და სხვა ნაგებობის ან სახელმწიფო თუ საზოგადო ქონების გახადგურება ან დაზიანება აფეთქებით, ცეცხლის წაქიდებით ან სხვა ხერხით, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58² მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58¹⁰. პროვაცინდა ან ავითაცია, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა, ძირის გამოთხრისა ან დაძაბუნებისათვის ან და ამა თუ იმ

კონტრრევოლუციონური დანაშაულის ჩადენისათვის (ამ კოდექსის 58²—58⁹ მუხ.) და აგრეთვე ამავე შინაარსის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით.

იგივე მოქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია მასიური მღელვარების დროს ან ხალხის რელიგიური თუ ნაციონალური ცრუმორწმუნოების გამოყენებით, ან საომარ მდგომარეობაში ან და ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58² მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58¹¹. ყოველგვარი საორგანიზაციო მოქმედება, რაც მიმართულ იქნება კონტრრევოლუციონური ან მართველობის წესის საწინააღმდეგო, განსაკუთრებით საშიში, დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისათვის (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 123), და აგრეთვე მონაწილეობა რომელიმე ამ დანაშაულის მომზადებისა თუ ჩადენისათვის შემდგარ ორგანიზაციაში გამოიწვევს ამა კოდექსის სათანადო მუხლში გათვალისწინებულ სოციალურ დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58¹². განუცხადებლობა კონტრრევოლუციონური დანაშაულისა იმ პირის მიერ, რომელმაც ნამდვილად იცის, რომ ეს დანაშაული ჩადენილია ან მზადდება ჩასადენად, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ვადით არა ნაკლებ ექვსი თვისა, სასტიკი იზოლაციით.

მუხ. 58¹³. აქტიური მოქმედება ან აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრრევოლუციონურ მთავრობასთან, სამოქალაქო ომის ხანაში, გამოუჩენია პასუხსაგებ ან საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს, გამოიწვევს

ამა კოდექსის 58² მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 58¹⁴ კონტრრევოლუციონური საბოტაჟი, ე. ი. განსაზღვრული სოციალური მიზნით, რათა დაძაბუნებულ იქნეს მთავრობის ხელისუფლება და შესუსტებულ იქნეს სახელმწიფო აპარატის მუშაობა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში,

სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

IV.

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებითი 15¹ და 79¹ მუხლები.

მუხ. 15¹. ისეთ პირად, რომელიც სამართალში არ ყოფილა, ჩაითვლება:

ა) სასამართლოს მიერ გამართლებული;



ბ) პირობით მსჯავრდებულნი, უკეთუ სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია;

გ) ის, ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა ან სოციალური დაცვის სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიება, უკეთუ სათანადო სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია, და აგრეთვე ის, რომელსაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა თვეზე მეტი ვადით, ხოლო არა უმეტეს სამი წლისა, — უკეთუ ექვსი წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია.

მუხ. 79¹. საომარი მდგომარეობის პირობებში უარისთქმა გადასახადის გაღებასა და ბეგარის მოხდაზე (კერძოდ: სამხედრო საავტო-სატრანსპორტო, სამხედრო-საცხენო, სამხედრო საბარგულო და სამხედრო-სანავგუქო) ან თავის არიდება გადასახადისა და ბეგარის მოხდისაგან გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა, სასტიკი იზოლაციით.

ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში

სოციალური დაცვის ღონისძიება აიწვევს თვით სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებამდე — დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით.

V.

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიშალოს 17, 31¹ მუხ., 45 მუხლის „ბ“ პუნქტი, 46 მუხლის „ა“ პუნქტში სიტყვები: „რევოლიუციონური მართლწესრიგისა“ და ამავე მუხლის „ბ“ პუნქტი.

VI.

სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 46 მუხ. „ა“ პუნქტში, 149 და 156 მუხლში სიტყვები „აუცილებელი თავდაცვა“ შეიცვალოს სიტყვებით „აუცილებელი მოგერება“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თ. დ. აღ. დ. აფციაური.

1927 წ. ოქტომბრის 25.

ტფილისი — სასახლე.

145. დადგენილება № 90 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე სასამართლოს წყობილების დებულების თანახმად მოქმედი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოები.

2. დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის სამაზრო ცენტრებში სამაზრო სასამართლოები. სამაზრო სასამართლო მოქმედობს მაზრის ფარგლებში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო ისეთ საქმეებზე, რაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით საოლქო სასამართლოს გამგებლობის საგანს შეადგენს.

სამაზრო სასამართლო მოქმედობს სამაზრო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით; სახალხო მსაჯული მოვალეობის შესასრულებლად მიიწვევა განსაკუთრებული სიით, რაც შედგენილ იქნება სასამართლოს წყობილების ცებულებით და ამა დადგენილების მე-ნ მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

შენიშვნა. სამაზრო სასამართლოს შტატი განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ და დამტკიცდება კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ. ქალ. ტფილისში და ქუთაისში სამაზრო სასამართლო შესდგება თავმჯდომარისა და იმდენი მოსამართლისაგან, რამდენიც დაწესებულია შტატით.

3. იმის გარდა, რომ სამაზრო მოსამართლე და აგრეთვე ტფილისსა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოების თავმჯდომარენი და მოსამართლენი უნდა შეესაბამებოდნენ სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათ, მათ აგრეთვე უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ, ვიდრე სამი წლის სტაჟი პრაქტიკული სასამართლო მუშაობისა სახალხო მოსამართლის არა უმცირეს თანამდებობაზე.

4. სამაზრო მოსამართლენი და ტფილისისა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოთა თავმჯდომარენი აირჩევიან თანამდებობაზე და გაიწვევიან თანამდებობიდან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, იუსტიციის სახ. კომისარიატის წარდგენით.

აღნიშნულ თანამდებობის პირებზე გავრცელდება ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა და წევრთათვის გათვალისწინებულია სასამართლოს წყობილების დებულებით.

5. ყოველ სამაზრო სასამართლოსთან განწესებულია: ა) მდივანი, რომელსაც დანიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამაზრო მოსამართლის წარდგენით (ტფილისისა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოებში—თავმჯდომარეთა წარდგენით) იმ პირთაგან, ვინც სახალხო მოსამართლის თანამდებობის დაქვრისათვის სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათ შეესაბამება, და ბ) კანცელარია განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული შტატის მიხედვით.

6. სამაზრო სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად სახალხო მსაჯულთა საერთო სიიდან შედგენილ იქნება განსაკუთრებული სია არა ნაკლებ 100 კაცისა ისეთ მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერთი წლისაზე არა ნაკლები სტაჟი სახელმწიფო, პროფესიონალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობისა; მათ შორის სპეციალურად სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, არჩეულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 25 კაცისა იმ პირთაგან, რომელნიც მუშაობენ სამეურნეო (სახელმწიფო და კოოპერატიულ) საწარმოში. სახალხო მსაჯულთა სიას სამაზრო სასამართლოებისათვის შეადგენს იგივე კომისია, რომელიც ადგენს სახალხო მსაჯულთა სიას სახალხო სასამართლოებისათვის. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ორი წარმომადგენელი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი—ტფილისში და პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროსი—სამაზრო ცენტრში.

განსაკუთრებულ სიას დაამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც შეუძლიან ჩამოიცილოს სიაში შეტანილი ესა თუ ის პირი; ჩამოცილება არ განისაზღვრება.

7. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შეცვლამდე სამაზრო სასამართლოებმა საქმეების გადაწყვეტის დროს უნდა იხელმძღვანელონ აღნიშნული კოდექსების ის ნაწილი, სადაც განსაზღვრულია საოლქო სასამართლოს სასამართლო ფუნქციები, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოსი.

8. სასამართლოს წყობილების დებულებით გათვალისწინებული საოლქო სასამართლოს ფუნქციები: ა) მისი ქვემდებარე სასამართლო ორგანოთა მოქმედებისათვის უშუალო ზედამხედველობის განხორციელების სფეროში და ბ) როგორც სახალხო სასამართლოების განაჩენებზე და გადაწყვეტილებებზე შეტანილი საკასაციო საჩივრებისა და პროტესტებისა და ამავე სასამართლოების დადგენილებებზე შეტანილი კერძო საჩივრების განმხილველი ორგანოსი,—დაეკისროს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, ვიდრე სასამართლოს წყობილების დებულება და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები გადაისინჯებოდეს.

შენიშვნა 1. რადგანაც აღნიშნული ფუნქციების დაკისრების გამო უზენაეს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რიცხვი თვალსაჩინოდ იმატებს, გადიდებულ იქნეს მისი შედგენილობა საშტატო წესით.

შენიშვნა 2. უკეთუ საჭირო იქნება, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს შეუძლიან დანიშნოს საკასაციო კოლეგიის ადგილობრივ წამსვლე-

ლი სესიები პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენებზე, განსაკუთრებით კი სასამართლოების განაჩენებზე და დადგენილებებზე შეტანილი საკასაციო საჩივრებისა, პროტესტებისა და კერძო საჩივრების აღვილობრივ განსახილველად.

9. იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და უზენაეს სასამართლოს და ადგილობრივ სასამართლო ორგანოთა შორის მუდმივი კავშირის განსამტკიცებლად და ადმინისტრატიულ-ფინანსური ხასიათის განმწესრიგებელ მოქმედებათა განსახორციელებლად—ტფილისისა და ქუთაისის სამაზრო სასამართლოთა თავმჯდომარეებს, ხოლო დანარჩენ მაზრებში სამაზრო მოსამართლეებს,—როგორც უზენაესი სასამართლოს რწმუნებულებს,—დაეკისრებათ:

ა) საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის მუშაობის მიმოკვლევა უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის მოსახსენებლად;

ბ) თვალყურის დევნება დამცველთა სამაზრო ბიუროს მოქმედებისათვის და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების ორგანიზაცია;

გ) მოწვევა იუსტიციის სფეროში მომუშავეთა სამაზრო თათბირებისა და თავმჯდომარეობა ამ თათბირებზე, სადაც, კანონების შეფარდების პრაქტიკული საკითხების განსახილველად და იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უზენაესი სასამართლოს ცირკულარებთან ვასაცნობათ, მოწვეულ უნდა იქნენ იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც, რომელთა მუშაობაც ამა თუ იმ მხრით დაკავშირებულია სასამართლოს მუშაობასთან;

დ) უზენაესი სასამართლოს დავალებითა და იუსტ. სახ. კომ. მიერ ამ დავალების დამტკიცებით, სახალხო სასამართლოების რევიზია იუსტ. სახ. კომისარიატის ინსტრუქტორებთან ერთად და თვალყურისდევნება ამ სასამართლოებში საქმისწარმოების რაციონალიზაციის განხორციელებისათვის;

ე) თავმჯდომარეობა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში;

ვ) საზოგადოებრივ ბრალმდებელთა ინსტიტუტის ორგანიზაცია;

ზ) თვალყურისდევნება სასამართლოს აღმასრულებლებისა და მაზრაში მოქმედ სანოტარო კონტორების მოქმედებისათვის, ხოლო სადაც ეს კონტორები არ მოიპოვება—ნოტარიუსის მოვალეობის შესრულება;

თ) მონაწილეობის მიღება სამაზრო და სახალხო სასამართლოებისათვის სახალხო მსაჯულთა სიების შემდგენელ და განმანაწილებელ კომისიისაში;

ი) საინფორმაციო ცნობების მოთხოვნა სახალხო მოსამართლეთაგან მათი მუშაობის შესახებ.

10. გაუქმებულ იქნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ორგანოები და მათ ნაცვლად დაწესებულ იქნენ სამაზრო პროკურორები, ხოლო იქ, სადაც საქიროა, მათი თანაშემწენიც,—საშტატო წესით. ვიდრე სასამართლოს წყობილების დებულება და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები გადაისინჯებოდეს, ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც-კი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორების გამგებლობის საგანს შეადგენს, დაეკისროს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებას, ხოლო სათანადო მაზრის

ფარგალში—სამაზრო პროკურორს, თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რომელსაც იუსტიციის სახალხო კომისარი დაამტკიცებს.

11. საოლქო სასამართლოების გაუქმებით გამოწვეული სახელმწიფო ნოტარიატის სათანადო რეორგანიზაცია განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით.

12. სამაზრო სასამართლოებისა და სამაზრო პროკურატურის შეთანხმად საჭირო ხარჯი, აგრეთვე ის ხარჯები, რაც საჭიროა სახალხო მსაჯულთათვის, მოწმეთათვის და ექსპერტთათვის კანონით დაწესებული გასამჯელოს მისაცემად, — მიეკუთვნოს სახელმწიფო ბიუჯეტს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთ-ალრიცხვით.

13. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს დაამთავროს სასამართლო დაწესებულებათა რეორგანიზაცია ამა დადგენილების საფუძვლებზე არა უგვიანეს 1928 წ. იანვრის 1-სა, თანაც დააწესოს და გამოაქვეყნოს გაუქმებული ორგანოების მოქმედების მოსპობისა და დაარსებულ ორგანოების მოქმედების დაწყების ვადა.

14. საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურის მოქმედების მოსპობისთანავე, ყველა ის საქმე, რაც გადაწყვეტილი არ იქნება ამ ჟამად მოქმედი წესით, განხილულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ. გასაუქმებელი ორგანოების საქმეებისა და არქივის გადაცემის დაწვრილებითი წესი განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

15. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებს დასამტკიცებლად დადგენილებათა პროექტები სასამართლოს წყობილების დებულებისა და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების იმ ცვლილებების შესახებ, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თახ. აღმ. დ. აფციაური.

1927 წ. ოქტომბრის 31.

ტფილისი-სასახლე.

146. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 91 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხაორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. აღმ. დ. აფკიაური.

1927 წ. ოქტომბრის 31
ტფილისი — სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების შესახებ.

1. კოცხალი და მუდმივი კავშირის დასამყარებლად ადგილობრივ ორგანოებთან, როგორც არიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები, სათემო, სასოფლო და ქალაქის საბჭოები და სათემო და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტები, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების შედგენილობაში დაარსებულია ინსტრუქტორების თანამდებობა,

ინსტრუქტორი გამოიკვლევს ადგილობრივი ორგანოების მუშაობის მდგომარეობას. გაუწევს მათ ინსტრუქტიობას და დახმარებას ხელისუფლების უხალღესი ორგანოების დადგენილებათა, განკარგულებათა და დირექტივთა მტკიცედ განხორციელების საქმეში.

შენიშვნა. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დავალებით საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი მოახდენს აგრეთვე ამა თუ იმ ცენტრალური დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის გამოკვლევას განსაზღვრულ დარგში.

2. ადგილობრივი ორგანოების გამოკვლევის სფეროში ინსტრუქტორი:

ა) შეისწავლის ადგილობრივი საბჭოებისა, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათ ქვემდებარე დაწესებულებათა ორგანიზაციის და მუშაობის მდგომარეობას მიზნებისა და სამუხრუნეო დარგში;

ბ) გაეცნობა ამა თუ იმ პასუხ-სმკვებელი ხელმძღვანელის მუშაობას საბჭოებში და აღმასრულებელ კომიტეტებში;

გ) გამოარკვევს, რამდენად ჩაბმულია საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ამომრჩეველთა ფართო წრეები, შეისწავლის მოქალაქეთა საზოგადო კრებების მუშაობას და, საერთოდ, საბჭოთა საზოგადოებრიობის ზრდას სოფლად.

დ) გაიცნობს, რამდენად სწორედ არის დაყენებული საბჭოთა ორგანოების მუშაობა ტენიკურად.



3. ინსტრუქტიობის გაწვევის სფეროში ინსტრუქტორი:

ა) მოხსენებას გააკეთებს სათანადო საბჭოს ან აღმასკომის სხდომაზე სოფლისა, თემისა და ქალაქის ხელისუფლების ორგანოთა და სხვა დაწესებულებათა გამოკვლევის შედეგების შესახებ, თანაც აღნიშნავს ამ ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაობის ღირსებას და ნაკლულოვანებას და უჩვენებს საშუალებას ამ ნაკლის გამოსასწორებლად;

ბ) გააცნობს ადგილობრივ მომუშავეებს მუშაობის საუკეთესო მეთოდებს და დაეხმარება მათ მუშაობის ტექნიკური მხარის წესიერად დაყენების საქმეში;

გ) დაესწრება „ა“ პუნქტში აღნიშნულ ორგანოებისა და დაწესებულებების ყოველდღიურ მუშაობას და საჭირო შემთხვევაში მისცემს იქ მომუშავე თანამდებობის პირებს სათანადო განმარტებას;

დ) უკეთუ ინსტრუქტორი სცნობს, რომ ადგილობრივი ორგანოს ესა თუ ის მოქმედება და განკარგულება სწორი არ არის, იგი აღძრავს საკითხს ასეთი მოქმედებისა და განკარგულების გაუქმების შესახებ იმავე ორგანოს წინაშე, ხოლო უკეთუ უქანასკნელი არ დაეთანხმება მის წინადადებას, ინსტრუქტორი საკითხს განსახილველად სათანადო მაღლა-მდგომ ორგანოში გადაიტანს.

შენიშვნა. ინსტრუქტორს უფლება არა აქვს თავის განკარგულებით

გააუქმოს, შესცვალოს ან შეაჩეროს ადგილობრივი ორგანოს ესა თუ ის მოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური მანდატით იგი უფლებამოსილი იქნება ასეთი ღონისძიების განხორციელებისათვის.

4. ინსტრუქტორი გააცნობს ადგილობრივ ორგანოებს მთავრობის მნიშვნელოვან მორიგ ამოცანებს, საჭიროებისამებრ განუმარტავს მათ უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა, განკარგულებათა და დირექტივთა აზრსა და მიზნებს და უჩვენებს საშუალებას მათი განხორციელებისათვის.

5. ამ დებულების 2—4 მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციების ასასრულებლად ინსტრუქტორს უფლება აქვს:

ა) დაათვალიეროს და გასინჯოს ყველა ადგილობრივი საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტისა და მოქალაქეთა საზოგადო კრების სხდომის ოქმები, ავრეთვე თათბირებისა და კონფერენციების ოქმები და როგორც აღნიშნული ორგანოებისა, ისე ყველა ადგილობრივი დაწესებულების საქმეები, დოკუმენტები (საიდუმლო საბუთების გამოუკლებლივ) და ყოველივე მასალა რაც კი საჭირო იქნება;

ბ) დაესწროს საბჭოთა სამაზრო ყრილობისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და ყველა ქვემდგომი ორგანოს სხდომებს, მონაწილეობა მიიღოს უპარტიო გლეხთა კონფერენციებში და თათბირებში საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების გამო.

6. ინსტრუქტორი წარუდგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას მოხსენებას წარმოებული გამოკვლევის შედეგებისა და, საერთოდ, მის მიერ შესრულებული მუ-



შაობის შესახებ. მოხსენებაში ინსტრუქტორი აღნიშნავს, თუ რა ღონისძიება-მისი აზრით საჭიროა შემჩნეული ნაკლის გასასწორებლად.

7. როდესაც ინსტრუქტორი წარვლინებაში არ იმყოფება, იგი ასრულებს საორგანიზაციო განყოფილების განსაკუთრებულ დავალებას, შეიმუშავებს ინსტრუქციებსა და ცირკულარებს და მონაწილეობას მიიღებს ამა თუ იმ კითხვის შესწავლაში, რაც ადგილობრივი ორგანოების მუშაობას შეეხება. გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-283 № ში 1927 წ. დეკემბრის 14.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

147. დადგენილება ს. კ. ს.

ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ, რომელთა პროექტების შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, ასაგები შენობებისა და ნაგებობებისა, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის კონკურსის გამოცხადების წესების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღითა და 15 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის თანახმიდ—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული სია ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, რომელთა პროექტების შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმასრ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 3.

ტფილისი—სახალხო.

ს ი ა

ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებთა, რომელთა პროექტის შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

1) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების შენობა;

2) ბანკი, თეატრი, სახალხო სახლი, ცირკი და კინო;



- 3) საავადმყოფო და სანატორიუმი;
- 4) შვიდწლიანი და ცხრაწლიანი სკოლა, ტექნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელი, მუზეუმი და ბიბლიოთეკა (რაც ნაწარაუდევია 200.000 ტომზე მეტი როადენობისათვის);
- 5) სასტუმრო, რომელშიაც 30 ნომერზე მეტი იქნება ქალაქად და კურორტებზე, საერთო სარგებლობის აბანო;
- 6) სასაკლაო;
- 7) სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი, სასპორტო და საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 8) საქარხო-საფაბრიკო და ელექტროსადგურის შენობა;
- 9) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ძეგლი;
- 10) ქვისა, ბეტონისა და რკინის ხიდი, ვიადუკი და აკვედუკი სიგრძით 10 მეტრი და მეტიც—ქალაქად და კურორტებზე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს, მე-225 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 5.

148. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათადარიგოდ, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ.

რათა გამოჩვეულ იქნეს, თუ რამდენად ასრულებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი თავიანთ მოვალეობას—მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათადარიგოდ, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთათვის თანამდებობის მიცემის სფეროში 3 პროცენტიან საშტატო შედგენილობის ფარგლებში, აგრეთვე რათა დამყარებულ იქნეს შემდეგისათვის იმ თანამდებობათა სათანადო აღნუსხვა, რომელთა შეესებაც უნდა სწარმოებდეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 14 დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 63 №-რი, მუხ. 475) და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათადარიგოდ, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთა თანამდებობაზე განმწესებელი ცენტრალური კომისიის სახელმძღვანელო განკარგულებათა წესისამებრ,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს წარუდგინონ,—მათ შორის ქ. ტფილისში მყოფმა ერთი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილას მყოფმა 1927 წ. ოქტომბრის 25-მდე,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათა-



დარიგოდ, ხანგრძლივ შევებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთა თანამდებობაზე განმწესებელ ცენტრალურ კომისიას შემდეგი ცნობები:

ა) დაწესებულებისა ან საწარმოს შტატი; თანაც აღინიშნოს თანამდებობათა სახელწოდება და რიცხვი, სატარიფო კატეგორია და ჯამაგირის რაოდენობა;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამეთაურო შედგენილობის იმ პირთა სია, რომელნიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან დათხოვნის შემდეგ სათანადო ცენტრალური ან ადგილობრივი კომისიების მიერ წარგზავნილ იყვნენ ამა თუ იმ დაწესებულებასა და საწარმოში 3 პროცენტთან ნორმად გამოყოფილ თანამდებობებზე დასანიშნავად და რომელნიც ცნობების წარდგენის დროს ფაქტიურად სამსახურში იმყოფებიან; თანაც აღნიშნული უნდა იქნეს კომისიების განწესების (სამგზავრო) ნომერი, ის თანამდებობა და ჯამაგირი, რაზედაც კომისიის მიერ ესა თუ ის პირი გაგზავნილ იქნა, და აგრეთვე ის თანამდებობა და ჯამაგირი, რაც კომისიის მიერ გაგზავნილ პირს დაწესებულებამ და საწარმომ ფაქტიურად მისცა;

გ) იმ პირთა სია, რომელნიც მიღებულ იქნენ სათანადო კომისიების განწესების თანახმად 3 პროცენტთან ნორმის ფარგალში და რომელთაც ამა თუ იმ მიზეზის გამო დაწესებულებაში სამსახურს თავი დაანებეს.

შენიშვნა. სამეთაურო შედგენილობის სია იმ პირთა, რომელნიც მიღებულ იქნენ სამოქალაქო დაწესებულებათა სამსახურში სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილების გამოცემამდე, წარდგენილ არ უნდა იქნეს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ყოველი ის განთავისუფლებული თანამდებობა, რაც 3 პროცენტთან ნორმის ფარგალშია გამოყოფილი მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათანადარიგოდ, ხანგრძლივ შევებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირთა დასანიშნავად, შეავსოს ხოლმე მარტოდენ სათანადო ცენტრალური ან ადგილობრივი კომისიის განწესებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ყოველი ცვლილება, რაც-კი 3 პროცენტთან ნორმის თანამდებობათა სიაში მოხდება, სამი დღის ვადაზე სათანადო კომისიას აცნობოს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილების მე-4 მუხ. გათვალისწინებული წესისამებრ, სამსახურში მიღებული პირის დათხოვნა შეუთანხმოს სათანადო კომისიას.

შენიშვნა. სამსახურიდან ზემოაღნიშნულ პირთა დათხოვნის საკითხის განხილვის დროს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე აუცილებლად მიწვეულ უნდა იქნეს კომისიის წარმომადგენელი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს შტატების შემცირების დროს სამსახურში დასტოვონ უპირატესად

ის პირნი, ვინ მიღებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილების მე-4 მუხლის ძალით, და აგრეთვე ამავე დადგენილების გამოცემაში დემობილიზაციით განთავისუფლებული პირნი.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემულ იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლისა და დისციპლინარული წესით.

7. მიენდოს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი მათ გააგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვ. დრ. აღმასრულებელი **ს. ხტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-233 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 14.

149. დადგენილება ს. კ. ს.

აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთისათვის ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოსაწყობად საჭირო მიწების მიჩენის შესახებ.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-5 მუხლის და 119 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლ. ოქტომბრის 5-ს დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეჩინოს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს საქართველოს სსრ-სა და მასში შემავალ აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებიდან, საქალაქო მიწებიდან, შრომითი სარგებლობის მიწებიდან, აგრეთვე დაწესებულებებისა, საზოგადოებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის მიჩენილი მიწებიდან, დამტკიცებული პროექტის მიხედვით, საჭირო:

ა) მიწის ზოლი სივანით სამ მეტრამდე ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოსაწყობად და

ბ) მიწის ნაკვეთები სივრცით ექვსიდან ათ ჰექტარამდე თითო—ნავთსადენის გადანტუმბავი სადგურების ასაგებად.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ღონისძიების სისრულეში მოყვანა დაეკისროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქალაქ-გარეშე მიწებისა-

თვის—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ხოლო საქალაქო მიწებისათვის—სათანადო ქალაქის საბჭოს.

მიენდოს აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება აჭარისტანის ავტონომიური სსრ ტერიტორიაზე დააკისროს სათანადო ორგანოებს.

3. მიწების მიჩენა და ჩამორთმევა ზემოაღნიშნული სახელმწიფო საჭიროებისათვის მოხდება საქართველოს სსრ მიწის კოდექსით გათვალისწინებული მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ, ამა კოდექსის 129 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესების აუცილებელი შევარდებით.

შენიშვნა. ყველა სამიწათმოწყობო მოქმედებისათვის საჭირო ხარჯს გაიღებს ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთი.

4. ამა დადგენილებას 1-ლ მუხლში აღნიშნული მისაჩენი მიწის ნაკვეთების მოსარგებლეთ უნდა აენახლათ ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის ხარჯზე ყველა ის ხარჯი, რაც მათ გაუწევიათ ამ მიწის ნაკვეთებზე და მათზე დადგმულ შენობასა და ნაგებობაზე. მიწის მოსარგებლეთა ზარალის საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება მათი და ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის გამგეობის შეთანხმებით. უკეთეს შეთანხმება არ მოხდა, საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება სამიწათმოწყობო დავათა გადაწყვეტის საერთო წესით (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-III ნაწილი, კარი მე-4).

5. უფლება მიეცეს ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს ფაქტიურად დაიჭიროს მისაჩენი მიწის ნაკვეთები საჭირო სამიწათმოწყობო მოქმედებათა შესრულებისა და მიწის მოსარგებლეთათვის საზღაურის გადახდისთანავე დაუყოვნებლივ (მუხ. მე-4).

შენიშვნა 1. მისაჩენი მიწის ნაკვეთების ფაქტიურად დაჭერის წესი და ვადა განისაზღვრება ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და სათანადო ქალაქის საბჭოსთან (კუთვნილებისამებრ. შეთანხმებით, ხოლო, უკეთეს ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული—სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

შენიშვნა 2. უკეთეს მიწის მოსარგებლებთან შეთანხმება ვერ მოხდა ზარალის საზღაურის რაოდენობის შესახებ, მიწათმოწყობი ორგანოს მიერ განსაზღვრული საზღაურის თანხას ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთი, დავის გადაწყვეტამდე, შეიტანს სათანადო საადგილ-მამულო ორგანოს დეპოზიტში.

6. უფლება მიეცეს ახერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს უსასყიდლოდ გააწყოს ნავთსადენი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარავზეების ფარგალში იმ ტრასებით, რაზედაც იგი შეთანხმება საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ან სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—კუთვნილებისამებრ.

7. უფლება მიეცეს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს გამოიყენოს, წყალთა შესახებ მოქმედ კანონმდებლობის საფუძველზე, ნავთსადენის გადამტუმბავი სადგურებისა საჭიროებისათვის ვის წყალი მდ. მტკვრიდან, სურამულაიდან, ნოტანებიდან და ტანიდან, ყარაიას სარწყავი სისტემის არხებიდან და რუებიდან და საჯავახოს რკინის გზის სადგურის ახლო მდინარე წყლებიდან, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით აღნიშნული წყლების სარგებლობის წესის შესახებ.

8. დაევალოს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს გაიყვანოს თავის ხარჯზე ისეთი ტრასებით, რაზედაც იგი გზათა სათანადო ორგანიზებს შეთანხმება, საერთო სარგებლობის გზები ნაცვლად იმ გზებისა, რაც ამა დადგენილების ძალით მისაჩენ მიწის ნაკვეთებზე გადის.

ვიდრე აღნიშნული გზები გაიყვანებოდეს, დაევალოს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს დასტოვოს თავისუფალ საეკლად და სარონინოდ ყველა საერთო სარგებლობის გზა, რაც ამ უამდ მისაჩენი მიწის ნაკვეთებზე გადის.

საქართველოს სსრ სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. აღმასრ. **ს. ხტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 17.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე 239 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21

150. დადგენილება ს. პ. ს.

მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის დებულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის

თანამდებობის აღმასრულებელი **ს. ხტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 21.

ტფილისი-სასახლე.

დებულება

მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლის მიზანია მილიციის მომუშავეთა მომზადება როგორც სპეციალურ, ისე საერთო განათლების მხრით, სა-

მაზრო და სარაიონო უფროსთა და მათ თანაშემწეთა, მარჯაფი მილიციის უფროსთა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა თანამდებობისათვის.

2. სკოლა არსდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და იმყოფება მის გამგებლობაში. სკოლის სასწავლო-სააღმზრდელი და საადრინისტრაციო-სამეურნეო მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობას უწევს კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველო.

3. სკოლის შტატს შეიქმნავეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და იგი დამტკიცებულ იქნება არსებული წესისამებრ.

4. სკოლის შესანახად საჭირო თანხა მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

5. სკოლის სასწავლო კურსი—ორწლიანია.

6. სკოლის პირადი შედგენილობა: მუდმივი—უფროსთა შედგენილობა, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი და ცვალებადი—კურსანტების პერსონალი.

7. ადმინისტრაციული მხრით სკოლა განიყოფება: სასწავლო, სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილებად.

8. სკოლის მუდმივი შედგენილობის პირთა მიერ სამსახურის განვლა განისაზღვრება „მუშათა და გლეხთა მილიციის სამსახურის დებულებით“ და მის განსაგებებლად გამოცემული განკარგულებებით.

9. სკოლის ცვალებადი შედგენილობა შეივსება იმ წესით, რაც აღნიშნულია ქვემოთ, მე-III თავში („სკოლაში მიღება“).

10. კურსანტების ცვალებადი შედგენილობა სამწყობრო სფეროში წარმოადგენს ორ ოცეულიან ასეულს.

11. სკოლის უფროსთა შედგენილობის სადისციპლინო უფლებები განისაზღვრება „მუშათა და გლეხთა მილიციის სადისციპლინო წესდების“ სათანადო მუხლებით.

II. სკოლის გამგებლობა.

ა. სკოლის უფროსი.

12. სკოლის სათავეში სდგას უფროსი, რომელსაც სამსახურის სფეროში ექვემდებარება მთელი სკოლის პირადი შედგენილობა.

13. სკოლის უფროსს დაეკისრება სასწავლო-სამწყობრო, სააღმზრდელი და საადმინისტრაციო-სამეურნეო დარგებში მთელი სკოლის მოქმედების საერთო ხელმძღვანელობა და ამ მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის—რესპუბლიკის მილიციის უფროსის—წინაშე.

შენიშვნა. სკოლის უფროსს დანიშნავს შინ. საქ. სახ. კომისარი, ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის წარდგენით.

სკოლის უფროსს ჰყავს თანაშემწეები: სასწავლო ნაწილში—სასწავლო

ნაწილის უფროსი და სამწყობროში—სამწყობრო ნაწილის უფროსი—იგივე ასეულის მეთაური.

სკოლის უფროსის თანაშემწეებს და პედაგოგიურ პერსონალს დანიშნავს ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი, სკოლის უფროსის წარდგინით.

ბ. სასწავლო ნაწილი.

14. სასწავლო ნაწილის სათავეში სდგას სასწავლო ნაწილის უფროსი.

15. სასწავლო ნაწილის უფროსი თავისი მუშაობისათვის ვალდებულია იხელმწიფებოდეს შინ. საქ. სახ. კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს განკარგულება და სკოლის უფროსის დირექტივები.

გ. სამწყობრო ნაწილი.

16. სამწყობრო ნაწილის სათავეში სდგას სკოლის უფროსის თანაშემწე სამწყობრო დარგში—სამწყობრო ნაწილის უფროსი, იგივე ასეულის მეთაური; სამწყობრო ნაწილის უფროსი უშუალოდ ემორჩილება სკოლის უფროსს და პასუხისმგებელია მის წინაშე ნაწილის მუშაობისათვის.

17. სამწყობრო ნაწილის უფროსის უახლოესი თანაშემწე არის სკოლის მამასახლისი (ზემდეგი), რომელიც უშუალოდ ემორჩილება სამწყობრო ნაწილის უფროსს.

დ. პედაგოგიური საბჭო.

18. ყველა იმ საკითხის განსახილავად, რაც სასწავლო-საიღმურდელი საქმის დაყენებას შეეხება, სკოლასთან არსდება პედაგოგიური საბჭო.

19. პედაგოგიურ საბჭოს შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარედ—სკოლის უფროსის თანაშემწე სასწავლო დარგში, და წევრებად—სამწყობრო ნაწილის უფროსი სკოლის მამასახლისი (ზემდეგი), ყველა მასწავლებელი, სრ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) სასკოლო უჯრედის წარმომადგენელი და კურსანტების მხრივ თვითეთული სასწავლო განყოფილების წარმომადგენელი, რომელთაც აირჩევს კურსანტების საერთო კრება ერთი წლით.

20. პედაგოგიური საბჭო პირველსავე საორგანიზაციო სხდომაზე აირჩევს საბჭოს მდივანს, მის მოადგილეს და მოაწიებს საციკლო კომისიებს.

21. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებები დასამტკიცებლად წარედგინება სკოლის უფროსს.

22. პედაგოგიური საბჭოს სხდომა ჩაითვლება კანონიერად, უკეთეს მას დაესწრო წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე არა ნაკლები; პედაგოგიურ საბჭოში საკითხები გადასწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით.

ე. სამეურნეო მიწილი.

23. სამეურნეო ნაწილს დაევალება სკოლისათვის გადაკვეთილი ყოველგვარი კმაყოფის მომარაგება, პირად შედგენილობის აღრიცხვა, საერთო საქმის

წარმოების გაძლიერება და სამეურნეო ანგარიშების წარმოება, სკოლის შენობის და ქონების შესაფერისად შენახვა, სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება და სხვ.

24. სამეურნეო ნაწილის უფროსი თავის მუშაობისათვის პასუხს აგებს სკოლის უფროსის წინაშე, რომელსაც ის უშუალოდ ემორჩილება.

25. სამეურნეო ნაწილის უფროსს უშუალოდ ემორჩილება სკოლის კანცელარია და მოსამსახურეთა პერსონალი.

26. სკოლის პირადი შედგენილობის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციით.

III. სკოლაში მიღება.

27. სკოლაში მიიღებიან მილიციის და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავენი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ:

ა) სამსახურის სტაჟი მილიციის და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოებში არა ნაკლებ 1/2 წლისა განუწყვეტილად;

ბ) ნამსახურობის კარგი ატესტაცია;

გ) ჯანმრთელობა და წლოვანება, რომელიც შეესაბამება მილიციის სამსახურში არსებული წესისამებრ მიღების პირობებს;

დ) ცოდნა იმ პროგრამის ფარგლებში, რასაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული სამმართველო მისაღები გამოცდებისათვის ყოველწლიურად გამოაცხადებს.

28. სკოლას შეავსებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სამაზრო მილიციის სამმართველოებისა და ადმ. განყოფილებებისათვის დაგზავნილი განაწილების მიხედვით.

შენიშვნა. გარეშე პირი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთესა ამა თუ იმ მაზრას არ ეყოლება სათანადო კანდიდატი.

29. სკოლის შევსების წესი გამოცხადდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციით.

30. განაწილების თანახმად სკოლაში მივლინებულმა პირმა (მე-18 მუხ.) უნდა გაიაროს საექიმო, სამანდატო და გამოცდელი კომისიები.

31. საექიმო კომისიამ უნდა გამოარკვიოს მივლინებულის ჯანმრთელობა და მისი ვარგისიანობა სკოლაში სასწავლო მუშაობისათვის; ამ კომისიაში მივლინებულს გამოსცდის ექიმი.

32. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეეფერება სკოლაში მივლინებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული სამმართველოს მიერ გამოცხადებულ პირობებს, მივლინებულმა უნდა გაიაროს სამანდატო კომისია, რომელშიც შედიან სკოლის უფროსი, როგორც თავმჯდომარე, ხოლო წევრებად—ადმინისტრატიული სამმართველოს უფროსის მიერ დანიშნული წარმომადგენელი.

33. სამანდატო და საექიმო კომისიებში გავლილი მივლინებული გამოცდილ უნდა იქნეს მიმღებ-გამომცდელ კომისიაში ადმინისტრაციულ სამმართველოს მიერ გამოცხადებული პროგრამის ფარგლებში.

34. მიმღებ-გამომცდელ კომისიაში შედიან თავმჯდომარედ—სასწავლონაწილის უფროსი, ხოლო წევრებად—ამა თუ იმ საგნების მასწავლებლები.

35. ის, ვინც გამოცდებზე მიშვებული არ იქნება და აგრეთვე ვინც გამოცდებს ვერ ჩააბარებს, უნდა გაიგზავნოს უკანვე წინანდელ სამსახურის ადგილას იმ დაწესებულების ხარჯზე, რომელმაც მიავლინა აღნიშნული მომუშავე სკოლაში.

4. სწავლება სკოლაში.

36. სასწავლო გეგმით სკოლა იყოფა 2 კურსად: უმცროსი—სწავლების პირველი წელიწადი და უფროსი—მეორე წელიწადი. თვითეული კურსი იყოფა ორ სასწავლო ნახევარწლად ანუ სემესტრად.

37. სწავლება როგორც სამილიციო, ისე სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის განყოფილებაში საერთო-საგანმანათლებლო და პოლიტიკური საგნებისა სწარმოებს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ შემუშავებული და განათლების სახ. კომისარიატის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით, ხოლო დანარჩენი საგნებისა—შინაგან საქ. სახ. კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ შემუშავებული და ამავე შინაგან საქ. სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამით.

38. კურსანტების მიერ სწავლების კურსის წარმატებით გავლა შემოწმდება სისტემატიურად კურსის განმავლობაში, აგრეთვე ნახევარ-ნახევარწლობით და სწავლების კურსის ბოლოს.

39. პერიოდულ გამოცდებს დანიშნავს სკოლის უფროსი, სასწავლო ნაწილის უფროსის წარდგენით, და მოხდება სწავლების კურსის განმავლობაში.

შენიშვნა. შემამოწმებელი გამოცდების ფორმას და წესს განსაზღვრავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

40. ნახევარწლიურ გამოცდებს მოახდენს გამომცდელი კომისია, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარედ—სასწავლო ნაწილის უფროსი, და წევრებად—ამა თუ იმ საგნების ციკლის მასწავლებლები.

41. მთელა სასწავლო ვეგმის და პრაქტიკული მეცადინეობის განვლის შემდეგ, კურსანტები ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს გამომცდელ კომისიებს, რომელთაც დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი—რესპუბლიკის მილიციის უფროსი.

42. გამოსაშვები გამოცდების შედეგი წარედგინება დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსს—რესპუბლიკის მილიციის უფროსს.

43. უფროსი კურსის იმ კურსანტებს, რომელნიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელ ნიშნებს გამოსაშვებ გამოცდებზე და დამაკმაყოფილებელ ნიშნებს სამწყობრო



საგნებშია, გამოიჩინენ, აგრეთვე, დისციპლინის სრულ შეგნებას და უნარს რათა დაიჭირონ პასუხსაგები თანამდებობანი მუშათა და გლეხთა მილიციაში, მიეცემათ კურსის დამთავრების შემდეგ მოწმობა და სათანადო ატესტაცია საშუალო უფროსთა შედგენილობის თანამდებობისათვის.

44. უფროსი კურსის იმ კურსანტებს, რომელთაც არ ექნებათ დამაკმაყოფილებელი ცოდნა საგნების რომელიმე ციკლში, მიეცემა სკოლიდან ატესტაცია მილიციის უფროსთა შედგენილობის უმცროსი თანამდებობისათვის და სათანადო მოწმობა კურსის გავლის შესახებ; ამავე დროს ამ კურსანტებისათვის დაწესდება ექვს-თვიური გამოსაცდელი პერიოდი (სტაჟირობა), რის შემდეგ ისინი შეიძლება გამოცდილ იქნენ ადგილობრივი გამომცდელი კომისიის მიერ სამსახურში წინ წასაწვეად.

5. მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლაში კურსდამთავრებული კურსანტების უფლებანი.

45. კურსანტს, გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ეძლევა შიდაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმის მოწმობა.

46. იმ კურსანტს, ვისაც მიეცა ატესტაცია უფროსთა შედგენილობის საშუალო თანამდებობის პირისა, უფლება აქვს ატაროს უფროსთა შედგენილობის სკოლის დამთავრებულთათვის დაწესებული ნიშანი საშუალო თანამდებობის პირისა, გარდა ამისა მას ეძლევა ფორმის ტანსაცმელის კომპლექტი.

47. კურს დამთავრებულს სამსახურის ადგილას გამგზავრებისათვის ეძლევა საგზაო კმაყოფა სამსახურის ადგილამდე.

48. კურს დამთავრებულთ თანამდებობაზე დანიშნვისა და სამსახურში დაწინაურების სფეროში ეძლევათ უპირატესობა მათთან შედარებით, ვისაც სკოლაში არ უსწავლია.

49. კურს დამთავრებული გადაიყვამ მილიციის იმ ადმინისტრაციულ განყოფილების და სამმართველოს განკარგულებაში, რომელმაც იგი მიავლინა სკოლას.

50. კურს დამთავრებული კურსანტი, აგრეთვე ისიც, ვინც სკოლიდან, კურსის დამთავრებამდე გასულა სხვადასხვა მიზეზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი დაუთხოვნიათ სკოლიდან ისეთი ავადმყოფობის გამო, რაც უშლის მილიციის სამსახურის ასრულებას, ვალდებულია იმსახუროს მილიციის ან სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოებში სკოლაში გატარებული ყოველი ერთი თვისთვის ორი თვე (მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების 46 მუხლის შენიშვნა).